პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
ორშაბათი
24
სექტემბერი
1934 წ.
№ 222 (4078)

დღეს ნომერში

- ანტისაბჭოთა ძალების დამარცხება.
- საბჭოთა კავშირი იბრძვის მშვიდობიანობისათვის.
- ბრძოლა მშრომელთა მთლიანი ფრონტისათვის საფრანგეთში.
- სპარსეთის პრესა საბჭოთა კავშირში ფირდოუსის 1000 წლის იუბილეს შესახებ.
- იაპონელი მწერალი ხიძიკატა გარიცხეს პერების წოდებიდან.
- სამეურნეო მუშაკთა საკავშირო თათბირის მისალმება ამხ. სტალინს.
- საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მარქსისტულ-ლენინური სწავლების გაშლისათვის მზადების შესახებ.
- ამხ. ანრი ბარბიუსის ჩამოსვლა მოსკოვში.
- ი. ვ. მიჩურინის დეპეშა ამხ. სტალინს.
- მოსკოვში დაბრუნდა ამხ. მოლოტოვი.

ბამბის მოსავალი ავიღოთ დროზე, უდანაკარგოთ

საქართველომ წელს საფეიქრო მრეწველობას უნდა მისცეს 3.000 ტონა ბამბა. ამ ამოცანის შესრულება ისე, რომ შენარჩუნებულ იქნას ნედლი ბამბის მაღალი ხარისხი; დამოკიდებულია ბამბის მოსავლის დროულად აღების, დახარისხების და ქარხნებისათვის ჭადაზე ჩაბარებაზე.

ხელმძღვანელ ორგანოების დირექტივების მიხედვით, ბამბის აღება უკვე დაწყებულია და იგი უნდა დამთავრდეს მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლო რიცხვებისათვის.

გასულ წლებში გვქონდა შემთხვევები, როდესაც ბამბის მოსავლის აღება ჭიანურდებოდა ზამთრამდე. იყო ისეთი ფაქტებიც, როდესაც ბამბის მოსავალი თოვლით იფარებოდა.

ცხადია, ასეთი მდგომარეობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა განმეორდეს. რითაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ბამბის თითოეულმა რაიონმა მოსავლის აღების ყოველთვიური გეგმა შეასრულოს დაწესებულ მტკიცე კალენდარულ ვადებში. ამ ვადების მიხედვით სექტემბერში უნდა აიკრიფოს 295, ოქტომბერში —1501; ხოლო ნოემბერში 1204 ტონა ბამბა.

ბამბის მთელი მოსავლის 75,3 პროცენტი აღებულ უნდა იქნას კოლმეურნეობებში. ეს მდგომარეობა გვავალებს მივიღოთ ყველა ზომა; რომ ბამბის რაიონების კოლმეურნეობებმა გვიჩვენონ დამკვრელური მუშაობის ნიმუშები მოსავლის აღებაში.

რა არის ამ შემთხვევაში მთავარი? მთავარია **შრომის მოწესრიგება და ძალთა სწორი განაწილება კოლმეურნეობაში, ბრიგადაში; ჯგუფში.** მოწინავე კოლმეურნეობები ბრიგადებს შიგნით ყოფენ ჯგუფებს 5—8 კაცისაგან და აბარებენ მათ გარკვეულ ნაკვეთს ბამბის მოსავლის აღების დამთავრებამდე ეს სასარგებლო პრაქტიკაა და შემოღებულ უნდა იქნას ბამბის ყველა კოლმეურნეობაში.

მაგრამ ეს არ კმარა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **დღიური გამომუშავების სწორი ნორმების დაწესებას და კოლმეურნეობის ყველა შრომის უნარიან წევრთა ჩაბმას ბამბის აღების საქმეში.**

ბევრი რამ არის აგრეთვე დამოკიდებული აღრიცხვის მოწესრიგებაზე. სახეში გვაქვს როგორც კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებულ შრომა-დღის, ისე ბამბის მოსავლის აღრიცხვა. საქმე ისე უნდა იქნას დაყენებული, რომ კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებული შრომა-დღეები დროულად გადაჰქონდეთ მათ შრომის წიგნაკებში. რაც შეეხება ბამბის მოსავლის აღებას, აქ აღკვეთილი უნდა იქნას მოკრეფილი ბამბის „თვალით გაზომვის" პრაქტიკა და როგორც წესი მტკიცედ უნდა გატარდეს თითოეულ ჯგუფისა და მკრეფავისაგან ბამბის აწონით მიღება.

ბევრგან არის მიდრეკილება ბამბის კრეფის გეგმა შეასრულონ ვადაზე ადრე. მაგრამ ამას ჩადიან ხარისხის საზიანოდ. მაგ. ყარაიას რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეებმა იმ მიზნით; რომ თვიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულონ; დაიწყეს მოუმწიფებელი ბამბის კრეფა, რაც უთუოდ დაუშვებელია. არის გარკვეული ინსტრუქცია; რომლის თანახმადაც სასტიკად არის აკრძალული ჯერ გაუშლელი და შემოუსვლელი ბამბის კრეფა. ამ ინსტრუქციის დაცვასა და გატარებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ამასთანავე სამ.-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებმა; რაი-მიწგანებმა და კოლმეურნეობებმა არ უნდა დაუშვან ჯანსაღი ბამბის შერევა დაავადებულ ნედლეულთან და უზრუნველყონ მოკრეფილი ბამბის დახარისხება.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ბამბის კრეფისა და მისი სახელმწიფოსათვის ჩაბარების დავალებათა შესრულებას აგრეთვე **ერთპიროვნულ მეურნეობებში** თითოეულმა სოფლის საბჭომ უნდა უზრუნველჰყოს ბამბის ნამდვილი მოსავლიანობის გამორკვევა; ბამბის გაფუჭება და დატაცებისაგან დაზღვევა; ნედლეულის ხარისხის სავალდებულო დაცვა.

მივცეთ ჩვენს ქვეყანას საფეიქრო მრეწველობას 3.000 ტონა პირველხარისხოვანი ბამბა — ასეთია საქართველოს ბამბის რაიონების პარტორგანიზაციების სადღეისო საბრძოლო ამოცანა.

◆

კადრები კოოპერაციას!

კოოპერატიულ ორგანიზაციებში — კერძოდ საქონელ ბრუნვის გადამწყვეტ ზოგიერთ რგოლებში — დღემდე არსებული მტაცებლობა, ქურდობა და მოტყუება იმის შედეგია, რომ სავაჭრო ძირეული რგოლები განმტკიცებული არ არის **შემოწმებული კვალიფიციური კადრებით.**

კადრების პრობლემის გადაჭრა, — ეს ერთერთი მთავარი და გადამწყვეტი პირობაა როგორც მტაცებლობის და ქურდობის აღმოსაფხვრელად, ისე საბჭოთა ნამდვილი კულტურული ვაჭრობის გაშლის ფრონტზე დასახულ მთელ რიგ ამოცანათა განხორციელებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მუშაკი ადგილობრივად სამეურნეო მუშაობის ამ **უაღრესად** მნიშვნელოვან დარგს დღემდე მეორე ხარისხოვან საქმედ თვლის.

უდავოა, რომ ამ ამოცანის შეუფასებლობა დიდ ზიანს აყენებს საქმეს.

ამის შედეგს დღეს მთელი სიმწვავით განიცდის სავაჭრო ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა. მაგალითისათვის **„კოლხიდმშენის"** კოოპერატივი ავიღოთ. აქ ძირეულ სავაჭრო რგოლებში მოკალათებული აღმოჩნდენ აშკარა მტაცებლები და ქურდ - ბაცაცები. მათ სულ რამოდენიმე თვის განმავლობაში კოოპერატივს 15.115 მანეთის ზარალი მიაყენეს.

პარტიულმა და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა გადამწყვეტი ბრძოლა უნდა აწარმოონ კოოპერატიულ სავაჭროების კვალიფიციურ მუშაკებით განმტკიცებისათვის.

მართალია, ცეკავშირის ხაზით ამ მხრივ ჩატარებულია ერთგვარი მუშაობა, მაგრამ ეს დამაკმაყოფილებელი.

1934 წლის პირველ ნახევარში სოფლის კოოპერატივის თავმჯდომარეებად მომზადებული 47 კაცი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 70 კაცისა, პირველ ოქტომბრისათვის გამოშვებული იქნება — უმთავრესად ეროვნულ უმცირესობათა რაიონებისათვის 65 მოანგარიშე, მზადდება 30 ამყიდველი სოფლის კოოპერატივებისათვის. გახსნილია მოსამზადებელი კურსები **ახალციხეში** 21 კაცისათვის და **ადიგენში** — 20 კაცისათვის. აგრეთვე საქართველოში არსებობს 3 კოოპერატიული ტექნიკუმი. ამ ტექნიკუმებმა 1933 წელს გამოუშვა 372 მსმენელი, ხოლო 1934 წელს — 194.

ცხადია, ეს მიღწევები საკმარისი არაა.

კადრების მომზადება - გადამზადების საკითხმა კოოპერატიულ ორგანიზაციების მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიჭიროს. ფართოდ უნდა გაიშალოს მოკლევადიანი კურსების ორგანიზაციის საქმე, ცალკეულ რაიონებში უნდა მოეწყოს კოოპერატიულ მუშაკთა გადამზადება და სავაჭრო ტექნიკის დაუფლების წრეები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სავაჭროებში **ქალთა შრომის** გამოყენებას.

ი. მიჩურინის დეპეშა ამხ. სტალინს

მოსკოვი. საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ი.

იოსებ ბესარიონისძე სტალინს.

ძვირფასო იოსებ ბესარიონისძევ. თქვენი დეპეშა ჩემთვის არის უმაღლესი ჯილდო მთელი ჩემი 80 წლის სიცოცხლის განმავლობაში, იგი ჩემთვის ყოველგვარ სხვა ჯილდოზე უფრო ძვირფასია.

მე ბედნიერი ვარ თქვენი დიდი ყურადღებით.

თქვენი ი. მიჩურინი.

მიჩურინსკი, 23 სექტემბერი.

ფირდოუსის 1000 წლის იუბილე

თეირანი, 22 სექტემბერი. გაზეთი „ეტილაატი" აღნიშნავს ფირდოუსის 1000 წლის იუბილეს ფართო ზეიმობას საბჭოთა კავშირში. ყველა სპარსელი, — წერს გაზეთი, — ფრიად კმაყოფილია იმით, რომ საბჭოთა კავშირის ცნობილი სწავლულნი და ლიტერატორნი ზეიმობით და ძვირფასი შრომების გამოცემით აღნიშნავენ დიდი სპარსელი პოეტის და ფილოსოფოსის იუბილეს. ეს ზეიმი და მეგობრული მიღება სპარსეთის წარმომადგენლებისა, რომლებიც იმყოფებიან საბჭოთა კავშირში ამ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად, — აცხადებს გაზეთი, — ხელს შეუწყობენ ორივე მეზობელი ქვეყნის სამეცნიერო და კულტურული კავშირის შემდგომ განმტკიცებას. (ადს).

ანტისაბჭოთა ძალების დამარცხება

საბჭ. კავშირი იბრძვის მშვიდობიანობისათვის

პარიზი, 22 სექტემბერი. სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ანრი ბერანჟე „ჟაანს ეკონომიკე ფინანსიერში" გამოვიდა სტატიით ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის შესვლის გამო. „მთელი მსოფლიოს, — წერს იგი, — ესმის, რომ ხდება წონასწორობის გადანაცვლება და ძალთა ახალი გადაჯგუფება ჩვენს პლანეტაზე". „მშვიდობიანობის თუ ომის ცენტრი, — წერს ბერანჟე, — უკვე არ იმყოფება იმ ადგილას, სადაც იგი გუშინ იყო. საბჭოთა კავშირის უზარმაზარი მასა ამიერიდან თავის ზეგავლენას მოახდენს ევროპულ საქმეებზე გერმანულ და ლათინურ მსოფლიოს თვალწინ".

ბერანჟე ამბობს, რომ ნაციონალ-სოციალისტურმა გერმანიამ ანტისაბჭოთა პოლიტიკა გადააქცია თავის საგარეო-პოლიტიკური პროგრამის ნაწილად, და აღნიშნავს, რომ საფრანგეთიც ასევე იმყოფება გერმანიის მხრივ თავდასხმის მუქარის ქვეშ. „საერთო საფრთხე, — განაგრძობს იგი, — ქმნის საერთო სოლიდარობას".

ბერანჟეს აზრით, საფრანგეთის და საბჭოთა კავშირს ეკუთვნით ისტორიული მისია დაიცვან მშვიდობიანობა ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანემდე და იყვნენ ევროპული წონასწორობის საფუძველი (ადს).

◆

ბრძოლა ერთიანი ფრონტისათვის

პარიზი, 20 სექტემბერი. „პოპიულერმა" გამოაქვეყნა სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის პასუხი საფრანგეთის კომპარტიის ც. კ-ის პოლიტბიუროს წინადადებაზე, რომ თვითმმართველობათა მომავალი არჩევნების დროს მოეწყოს საერთო კამპანია საგანგებო დეკრეტების წინააღმდეგ, განხორციელდეს პროფმოძრაობის მთლიანობა და გამომუშავებულ იქნას საარჩევნო ტაქტიკა. თავის პასუხში სოციალისტურმა პარტიამ დაავალა მოქმედებათა ერთიანობის საკითხზე გამყოფილი შეთანხმებელი კომიტეტის დელეგაციას გამართოს მოლაპარაკება კომპარტიის დელეგაციასთან (ადს).

◆

იაპონელი ოფიცრები მანჯოუგოში

ტოკიო, 22 სექტემბერი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს გადმოცემით, 19 სექტემბერს ჩანჩუნში ჩავიდა იაპონიის ფლოტის შეერთებული ესკადრის სარდალი ადმირალი სუეცუგუ 40 საზღვაო ოფიცრის თანხლებით. სუეცუგუს შემდეგ მანჯოუ-გოს გასაცნობად დაირენიდან გაემგზავრა ათზე მეტი საზღვაო ოფიცერი. ამავე დროს ჩანჩუნისაკენ გაფრინდა 80-ზე მეტი საზღვაო თვითმფრინავი. (ადს).

„ისტორიული ფაქტი"

ლონდონი, 22 სექტემბერი. ინგლისის ყველა ყოველკვირეული გაზეთები ეხებიან ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის შესვლას.

„ნიუ-სტეიტსმენ ენდ ნეიშენი" წერს:

„ლიგაში საბჭოთა კავშირის შესვლის მთელი მნიშვნელობა განიზომება იმ თავგამოდებული ცდებით, რომლებსაც მიმართავდენ უკანასკნელ წუთს, რომ იგი ჩაეშალათ. ეს ცდები აშკარად იგრძნობოდა ჟენევაში. ამგვარად **მოპოებულ იქნა გამარჯვება ნაციონალ - სოციალისტური გერმანიის, მილიტარისტული იაპონიის, კათოლიკური პორტუგალიის, კალვინისტური შვეიცარიის, რუსი თეთრგვარდიელების და ნავთის ტრესტ, როიალ დეტჩ ოილის"** კოალიციაზე.

„ეკონომისტი" ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის შესვლას უწოდებს **„ისტორიულ ფაქტს".**

„ღირსშესანიშნავი დამთხვევაა, — წერს ჟურნალი, — საბჭოთა კავშირი ლიგაში შედის იმ დღეს, როცა სრულდებოდა იაპონიის მიერ ლიგის მიმართ მის ვალდებულებათა დარღვევის სამი წლისთავი. იაპონიაში ეს დღე იზეიმეს, როგორც ეროვნული დღესასწაული, მაგრამ ამ უკანონო ნაბიჯის ერთერთი მთავარი შედეგი იყო იმ საერთაშორისო ორგანიზაციის განმტკიცება, რომლის დანგრევას იაპონია ყოველნაირად ცდილობდა. **იაპონიაზე გაცილებით უფრო ძლიერ სახელმწიფოს შესვლის მეოხებით, ლიგა მორალურად განმტკიცდა".**

ასევე აფასებს ლიგაში საბჭოთა კავშირის შესვლას კონსერვატიული ჟურნალი „სპექტეიტორი" (ადს).

● ● ●

საბჭოთა პატიმრის შიმშილობა

ხაბაროვსკი, 21 სექტემბერი. ხარბინიდან მიღებული ცნობებით, რამოდენიმე დღის წინათ სამ. მანჯურიაზე დაპატიმრებული, სადგურის უფროსი საბჭოთა მოქალაქე შაბლინსკი წინანდებურად მოთავსებულია საზღვრის მცველ პოლიციელთა რაზმის შენობაში და, მიუხედავად საბჭოთა კავშირის საკონსულოს განმეორებითი მოთხოვნებისა, მოკლებულია შესაძლებლობას ნახოს საკონსულოს წარმომადგენლები და ნათესავები. ოთხი დღის განმავლობაში, დაწყებული 17 სექტემბრიდან, შაბლინსკისათვის გაგზავნილ საჭმელს საზღვრის მცველ პოლიციელთა რაზმი მთლიანად უკან აბრუნებს. როგორც ჩანს, შაბლინსკიმ გამოაცხადა შიმშილობა უკანონოდ დაპატიმრების წინააღმდეგ. ამ მოსაზრებას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ნათესავთა შეკითხვების პასუხად მანჯურიის ადგილობრივმა დიპლომატიურმა ბიურომ აცნობა, რომ შაბლინსკი ჯანსაღად არის, ექიმს არ საჭიროებს და რომ შაბლინსკისათვის გაგზავნილ საჭმელს უკან აბრუნებენ, „რადგან მას მადა არა აქვს. (ადს).

გამანადგურებელი ტაიფუნის მსხვერპლნი

შანხაი, 21 სექტემბერი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს უკანასკნელი ცნობებით, ტაიფუნმა გადაუარა კუნძულების კიუსიუს, სიკოკუს და ხონდუს დიდ ტერიტორიას. ოფიციალური ცნობების თანახმად, კანსაის რაიონში, რომელშიაც შედიან ოსაკა, კობე და კიოტო, მოკლული და დაჭრილია 3 ათასი კაცი; საექიმო დახმარებას, საკვებს და საცხოვრებელ ბინებს საჭიროებს 200.000 კაცი.

ოსაკას პრეფექტურაში აღრიცხულია 421 მოკლული, 1,354 დაჭრილი და 31 უგზო-უკვლოდ დაკარგული, უმთავრესად მოსწავლეები და მასწავლებლები, რომლებიც დაიღუპნენ 87 სკოლის დანგრევის შედეგად.

ბევრი სანაპირო ქალაქი დაზარალდა იმის გამო, რომ ტაიფუნს თან მოჰყვა ტალღების წნევა. ოსაკაში წყალქვეშ მოხვდა 167 ათასი სახლი. ტაიფუნმა დაანგრია იმპერატორის სასახლე. ქალაქ კობეს საქმიანი ნაწილი დაფარულია წყლით, რომლის დონე 6 ფუტს აღწევს. ტოკიოს მახლობლად დანგრეულია სუსაკის აეროდრომის რამდენიმე ანგარი, მოისპო 14 სამხედრო აეროპლანი და ხაცედას აეროდრომის ანგარი, სადაც ნამსხვრევებად იქცა 20 აეროპლანი. ასზე მეტი მატარებელი გადავარდა ლიანდაგიდან. არის მრავალი მსხვერპლი.

შეწყდა სატელეგრაფო კავშირი იაპონიასა და კონტინენტს შორის (ადს).

ტოკიო (შანხაიდან), 22 სექტემბერი. წინასწარი ცნობებით, ტაიფუნის მსხვერპლთა საერთო რიცხვი 8 ათას კაცს უდრის, ამაში შედის ორი ათასი მოკლული და უგზოუკვლოდ დაკარგული. ზარალი დაახლოებით 1 მილიარდ იენს უდრის.

ოსაკაში შეჩერდა წყლის მიწოდება, ელექტრონის განათება, სატელეფონო კავშირი და ტრამვაის მოძრაობა, ამასთან არ არის მათი უახლოეს დროში განახლების იმედი. ტოკიოში, რომელიც ტაიფუნმა შედარებით ნაკლებად დააზიანა, შეწყდა მთელი საქალაქო მიმოსვლა. ელექტრომატარებლები დაწყდა და ფაბრიკების მუშაობა შეჩერდა. ტოკიოში აღრიცხულია 4 მოკლული და 33 დაჭრილი.

ტაიფუნისაგან მიყენებული ზარალი მარტო ოსაკაში 500 მილიონ იენს უდრის, აქედან 300 მილიონი იენის ზარალი მრეწველობაზე მოდის; ოსაკაში მთლიანად დანგრეულია სამათასზე მეტი საწარმო. სამრეწველო წრეების აზრით, რამდენიმე თვე იქნება საჭირო იმისათვის, რომ აღდგენილ იქნას საწარმოების მიერ მრეწველობის პროდუქციის გამოშვების წინანდელი დონე.

ტაიფუნმა ძალზე შეამცირა ბრინჯის მოსალოდნელი მოსავლის ვარაუდები წინასწარი გამოანგარიშებით, რაც უკვე გამოქვეყნებული იყო, ბრინჯის მოსავალი მთელს იაპონიაში უნდა ყოფილიყო უკანასკნელი 5 წლის საშუალო მოსავლის ნაკლები 20 პროცენტით, ახლა კი იგი დაახლოებით 30 პროცენტით იქნება ნაკლები.

ტაიფუნმა დააზარალა თევზის მრეწველობაც. არასრული ცნობებით, მოისპო რამდენიმე ათასი სათევზაო ნავი. მანსეიტოს პარტია მოითხოვს პარლამენტის საგანგებო სესიის მოწვევას, რათა განხილულ იქნას საკითხი, ტაიფუნთან დაკავშირებით მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ (ადს).

ხიძიკატა გარიცხეს

ტოკიო, 22 სექტემბერი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს გადმოცემით, საბჭოთა კავშირში გამგზავრებისა და მოსკოვში მწერალთა ყრილობაზე გამოსვლისათვის პერების წოდებიდან გამორიცხეს იაპონელი მწერალი ხიძიკატა. (ადს).

მისალმება ამხ. სტალინს

მძიმე მრეწველობის სამეურნეო მუშაკთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა პარტიულ და პროფკავშირულ მუშაკთა თათბირისაგან

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გამარჯვებათა სულისჩამდგმელს და ორგანიზატორს, მშრომელთა საყვარელ ბელადს, დიდ სტალინს მძიმე მრეწველობის მუშაკთა თათბირი მხურვალე სალამს უთვლის.

იმ წლებში, როცა ჩვენი მრეწველობა მხოლოდ პირველ ნაბიჯებს სდგამდა თავისი აღდგენის გზაზე, შენ, უკვდავი ლენინის ერთგულო მოწაფევ, მომავალ წელთა სიღრმეში ჩამწვდომ ბელადის გენიალური გამჭრიახობით მოგვეცი ჩვენ და მთელს პარტიას სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დიადი პროგრამა.

ამ პროგრამით, როგორც საბრძოლო დროშით, შენი უშუალო ხელმძღვანელობის, შენი ყოველდღიური მზრუნველი ყურადღების წყალობით, მშენებლობის ძლევამოსილი პათოსით მოცულმა მუშათა კლასმა შექმნა პირველი ხუთწლედის განმავლობაში პირველხარისხოვანი მოწყობილობით აღჭურვილი მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია.

შენი ბრძნული ხელმძღვანელობით იჭედებოდა მრეწველობის მუშაკთა კადრები, იქმნებოდა მუშათა კლასის ახალი საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენცია.

სოციალისტური რეკონსტრუქციის უაღრესად სწრაფი გაშლის წლებში შენ გადმოისროლე ლოზუნგი: „ბოლშევიკები უნდა დაეუფლონ ტექნიკას". შენ გვიჩვენე გამარჯვების ექვსი პირობა, შენ მოგვიწოდე შეგვესხა მშენებლობის პათოსი ათვისების პათოსით, და შენი მითითებანი გახდენ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ახალ წარმატებათა შეურყეველი საფუძველი.

ვამთავრებთ რა ჩვენი თათბირის მუშაობას, გარწმუნებთ შენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ჩვენო მეგობარო, ბელადო და მასწავლებელო, რომ ჩვენ შევძლებთ კვლავ და კვლავ დავამტკიცოთ — არ არის ისეთი სიმაგრე, რომლის აღებაც ბოლშევიკებს არ შეეძლოთ.

გარწმუნებთ, რომ ჩვენი დიდი კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც შენ მეთაურობ, მძიმე მრეწველობის ექვსმილიონიანი არმია გაჩაღებს ბოლშევიკურ ბრძოლას მძიმე ინდუსტრიის ყველა რეზერვის მობილიზაციისათვის, რომ შევასრულოთ 1934 წლის გეგმა და ყოველმხრივ შეიარაღებული შევხვდეთ მეორე ხუთწლედის მესამე წელს.

გაუმარჯოს ჩვენს ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს ჩვენს სტალინს, დიდ გამარჯვებათა დიდ ორგანიზატორს.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრ. კ-ში

მარქსისტულ-ლენინური სწავლების გაშლისათვის მზადების შესახებ

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა საოლქო და სამხარეო კომიტეტებს და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს დაუყოვნებლივ შეუდგენ მარქსისტულ - ლენინური სწავლების მომზადებას და გაშლას 1934-35 წლისათვის. პარტიული სკოლების და წრეების დაკომპლექტებისას საჭიროა გულდასმით გაითვალისწინონ პარტიის თითეული წევრის, კანდიდატის, თანამგრძნობის პოლიტიკური მომზადების დონე და არ დაუშვან მექანიკური მიდგომა მსმენელთა მიღების დროს. დაკომპლექტების ორგანიზაცია დაეკისროს უშუალოდ პირველადი ორგანიზაციების პარტკომთა მდივნებს. ყველა პროპაგანდისტი უნდა შეამოწმონ სპეციალურმა კომისიებმა რაიკომების ხელმძღვანელ მუშაკთა და საუკეთესო პროპაგანდისტთა შემადგენლობით და დამტკიცებულ უნდა იქნან რაიკომის ბიუროს სხდომაზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პარტკაბინეტების მუშაობას, ისინი უზრუნველყოფილ უნდა იქნან კვალიფიციური მუშაკებით, რომელთაც შეეძლებათ დახმარება გაუწიონ რჩევა - დარიგებით და ახსნა - განმარტებით პირველ რიგში პარტაქტივს. განსაკუთრებული მეთვალყურეობა უნდა გაეწიოს პოლიტსწავლების ორგანიზაციას და გაშლას კომკავშირში, კომკავშირული სკოლების უზრუნველყოფას პროპაგანდისტებით და სახელმძღვანელოებით.

პარტგანათლების ქსელის სკოლათა და წრეთა მუშაობა უნდა წარმოებდეს საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის კულტპროპის მიერ მოწონებული სახელმძღვანელოებით.

კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილებებმა მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაქციონ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხებს, ყოველდღიური ხელმძღვანელობა გაუწიონ სკოლების დაკომპლექტებას, პროპაგანდისტების შერჩევას და შემოწმებას, პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობას, სისტემატიურად დასვან სამხარეო და საოლქო კომიტეტების, ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების განსახილველად მოხსენებანი ცალკეულ რაიონებსა და პირველადი ორგანიზაციებში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მდგომარეობის და თითონ სწავლების მსვლელობის შესახებ.

ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა პარტგანათლების ქსელის სკოლათა და წრეთა მუშაობა დაწყებულ იქნას ქალაქში 1-ლ ოქტომბრიდან, ხოლო სოფლად — პირველ ნოემბრიდან.

როდემდის უნდა გაგრძელდეს სამარცხვინო ჩამორჩენა თესვის ფრონტზე

(საქ. მიწსახკომის ცნობების მიხედვით)

საშემოდგომო თესვის გადამწყვეტ უბნებზე მდგომარეობა კვლავ საგანგაშოა. მიუხედავად „კომუნისტის" რამოდენიმე სიგნალისა სათესლე მასალის გაწმენდა - შეწამვლასა და ნიადაგის ხვნის ტემპებს არ ეტყობა გაუმჯობესება. ამას მოწმობს საქ. მიწსახკომის ცნობები, ამას ადასტურებს ადგილებიდან მიღებული მასალებიც.

თესლის გაწმენდა-შეწამვლა

20 სექტემბრისათვის მთელს საქართველოში გაწმენდილი იყო მხოლოდ 140.381 ცენტნერი თესლი, რაც რესპუბლიკური გეგმის (371.819 ცენტ.), 36,2 პროცენტს შეადგენს. კოლმეურნეობებს გეგმა შესრულებული აქვთ, 44,6 პროც., ხოლო ერთპიროვნულ მეურნეობებს —31,3 პროც.

ახალციხის, ადიგენის, ყარაიას, ბორჩალოს, თიანეთის, ონის, ამბროლაურის, და ცაგერის რაიონებს თესლის გაწმენდის შესახებ ჯერ კიდევ არავითარი ცნობები არ წარმოუდგენიათ.

თესლის გაწმენდის ყველაზე სამარცხვინო მაჩვენებელს იძლევა ყვარელის რაიონი, რომელსაც გეგმით დაწესებულ 16.586 ცენტნერიდან გაწმენდილი აქვს მხოლოდ 1.968 ცენტნერი (12 პროც.), თითქმის ასეთივე მდგომარეობაა **გურჯაანის, გორის, ლიუქსემბურგის** და **ტოლოშის რაიონებში.**

აშკარად ჩაშლის საფრთხეშია თესლის შეწამვლის საქმე. 20 სექტემბრისათვის შეწამლული იყო მთელი (შესაწამლი) რაოდენობის მხოლოდ 9,4 პროცენტი.

მაგ. **გურჯაანის რაიონში** უნდა შეიწამლოს სულ 25.952 ცენტნერი თესლი, ფაქტიურად 20 სექტემბრისათვის შეწამლული იყო მხოლოდ 5 ცენტნერი. უკეთესი მდგომარეობა არც **თელავის რაიონშია.** აქ შეწამვლის გეგმა 0,1 პროცენტითაა შესრულებული.

სამარცხვინოდ ჩამორჩენილ რაიონებს ეკუთვნიან აგრეთვე ყვარელის, კასპის, ტოლოშის, და დუშეთის რაიონები.

დაიწყო ციტრუსების კომბინატის მშენებლობა

ბათუმი, 22 სექტემბერი. სოფ. დაგვაში (აჭარისტანი) დაიწყო ციტრუსების პირველი მექანიზირებული კომბინატის მშენებლობა. კომბინატში აწარმოებენ ციტრუსების დახარისხების, დაყალიბების, ჩაწყობის და გადამუშავების ყველა სამუშაოს. კომბინატის გამტარუნარიანობა განსაზღვრულია 20 მილიონი ცალი ნაყოფით წელიწადში. კომბინატთან მოეწყობა ნარჩენების უტილიზაცია.

ციტრუსების მეორე კომბინატის აგება დაპროექტებულია სოფ. გონიოში. მისი გამტარუნარიანობა იქნება 10 მილიონი ცალი ნაყოფი. ორივე კომბინატი ამუშავდება 1935 წლის ციტრუსების ნაყოფის დამზადების კამპანიისათვის.

ასეთივე კომბინატები აიგება ბათუმში, ჩაქვში, ქობულეთში (თითეულის გამტარუნარიანობა — 20 მილიონი ნაყოფი), მუხაესტატეში და ლოგაში (10 მილიონი ცალი ნაყოფის გამტარუნარიანობით თითეული).

საბჭოთა კავშირში

ამხ. მოლოტოვი დაბრუნდა მოსკოვში

მოსკოვი, 23 სექტემბერი. 23 სექტემბერს მოსკოვში დაბრუნდა და თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. მ. მოლოტოვი. (ადს).

ანრი ბარბიუსი ჩამოვიდა მოსკოვში

მოსკოვი, 22 სექტემბერი. 22 სექტემბერს დილით ლენინგრადიდან მოსკოვში ჩამოვიდა ცნობილი ფრანგი მწერალი ანრი ბარბიუსი, ვაგზალზე მას შეეგებენ უცხოეთთან კულტურული დაკავშირების საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. აროსევი, რემედასის თავმჯდომარე ამხ. სტასოვა, უცხოეთთან კულტურული დაკავშირების საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე აპლეტინი და ინტურისტის წარმომადგენლები. (ადს).

ამხ. ჟდანოვი კამიშინში

კამიშინი, 22 სექტემბერი. დღეს კამიშინში ჩამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხ. ა. ა. ჟდანოვი. ვაგზალზე ამხ. ჟდანოვს შეეგებენ პარტიის სტალინგრადის სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. პტუხა, სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ოზერიანსკი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამხ. რაპოპორტი და სხვ. მხარის და კამიშინის რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებთან მოსავლის აღების და პურის ჩაბარების საკითხებზე თათბირის გამართვის შემდეგ ამხ. ჟდანოვი გაემგზავრა კოლმეურნეობებში. (ადს).

პურის გარდამეტი კოოპერაციას

ხარკოვი, 23 სექტემბერი. უკრაინის სხვადასხვა რაიონიდან მოდის ცნობები, რომ კოლმეურნეობები, რომლებმაც კი შეასრულეს პურის ჩაბარების გეგმა, ანგარიში გაასწორეს სამანქანო - სატრაქტორო სადგურებთან და საჭირო ფონდები გამოყვეს, უკვე ყიდიან პურის გარდამეტს კოოპერაციაზე.

თავის გარდამეტს ყიდიან ცალკეული კოლმეურნეებიც.

ყველა რაიონში პურის შესყიდვა ტარდება ლოზუნგით — „არც ერთი კილოგრამი პური არ მივცეთ სპეკულიანტს და გადამყიდველს". (ადს).



მოსკოვის მეტროს პირველი ვაგონი.

მიტიშჩინსკის ქარხნიდან „დინამოს" ქარხანაში მოიტანეს მოსკოვის მეტროს პირველი ორი ვაგონი. 1 ოქტომბრისათვის „დინამომ" უნდა დაამთავროს ვაგონების ელექტრომოწყობილობათა მონტაჟი, რის შემდეგ მოხდება მათი გადაყვანა მეტრომშენის საცდელ შტოზე ლენინის ხლობოდაში. 15 ოქტომბერიდან დაიწყება ვაგონების მოძრაობა მეტროს გვირაბში სოკოლნიკის რადიუსზე.

სურათზე: მეტროს მოტორიანი ვაგონი № 1 ქარხანა „დინამოს" ელექტრომავლების საამქროში.

1 მილიონი მანეთი საპრემიო ფონდში

მოსკოვი, 22 სექტემბერი. „ცენტროსოიუზის" პრეზიდიუმმა დაამტკიცა ცენტრალური საპრემიო ფონდი 1934 წლისათვის 1 მილიონი მანეთის რაოდენობით.

კოოპერატიული ორგანიზაციები და ცალკეული კოოპერატიული მუშაკები დაჯილდოებული იქნებიან ვაჭრობის საუკეთესო ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის, საქონელბრუნვის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის და სხვ.

სახალინში ჩამოვარდა მეტეორიტი

ხაბაროვსკი, 23 სექტემბერი. მიღებულია ცნობა, რომ 19 სექტემბერს, 14 საათსა და 45 წუთს, სახალინის ალექსანდროვსკში შემჩნეულ იქნა დიდი მეტეორიტის ჩამოვარდნა. მეტეორიტს თან სდევდა კაშკაშა კუდი, მოვლენა გაგრძელდა 4 წამს. (ადს).

გოჭების მიყიდვა კოლმეურნეებისათვის

მოსკოვი, 23 სექტემბერი. საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის მეცხოველეობის და ხორც-რძის მეურნეობანი ამ წლის მეორე ნახევარში კოლმეურნეებს მიყიდიან 905 ათას ორთვიან გოჭს. მოსაშენებლად იყიდება საუკეთესო ჯიშის გოჭები. (ადს).

შაქარი ახალი მოსავლის ჭარხლისაგან

ხარკოვი, 22 სექტემბერი. ხარკოვის შაქართრესტის ქარხნებმა უკვე გამოუშვეს ახალი მოსავლის ჭარხლისაგან დამზადებული შაქრის პირველი პარტია რამოდენიმე ათასი ცენტნერის რაოდენობით.

20 სექტემბერს საწარმოო სეზონი დაიწყეს გლობინის და ლოხვიცკის შაქრის ქარხნებმა. (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალთა ყრილობას უნდა მოყვეს მხატვრული ლიტერატურის სწრაფი ზრდა

შემოქმედებითი ენტუზიაზმი, მხატვრული პრაქტიკა!

მწერალთა საკავშირო ყრილობამ უდიდესი აღფრთოვანება, შემოქმედებითი ენტუზიაზმის მძლავრი აზვირთება გამოიწვია მხატვრული სიტყვის ოსტატების, ახალი ადამიანის სულის ინჟინერთა რიგებში.

ეს სავსებით ბუნებრივია. მწერალთა ყრილობა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია. მისი **საერთაშორისო მნიშვნელობა** თავისთავად ცხადია. უფრო მჭიდროდ, უფრო მტკიცედ დაირაზმება მსოფლიო რევოლუციონური ლიტერატურა რევოლუციური ხელოვნების იდეის — **კაპიტალისტური რეჟიმის დამხობისათვის** ბრძოლაში, ამ ისტორიული პროცესის მხატვრულად ასახვისა და რევოლუციურ ძალთა მობილიზაციის საქმეში.

მეორე მხრივ, განსაკუთრებით დიდია ყრილობის მნიშვნელობა საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი ზრდისა და **სწრაფი** განვითარებისათვის. საბჭოთა ლიტერატურა ჯერ კიდევ საკმაოდ **ჩამორჩება** საბჭოთა სინამდვილეს. აზრი ვერ უსწრებს არსს, შეგნება — მდგომარეობას. ამას აქვს თავისი მიზეზი, მაგრამ აქ ფაქტია საგულისხმო: **ეს ფაქტი უნდა შეიცვალოს.** საბჭოთა ლიტერატურის ზრდის ტემპები საბჭოთა სინამდვილის, სოციალიზმის მშენებლობის ზრდის ტემპებს უნდა გაუთანასწორდეს. მაგნიტოგორსკი სახალხო მეურნეობაში მოითხოვს მაგნიტოგორსკს მხატვრულ ლიტერატურაში.

აი, **ძირეული პრობლემა**, მწვავედ დასმული საბჭოთა ლიტერატურის წინაშე.

ყრილობის მუშაობამ გაადვილა ამ პრობლემის გადაწყვეტა. ყრილობამ უსათუოდ მოახდინა ძირეული ძვრა და მნიშვნელოვანი გარდატეხა მხატვრულ ლიტერატურაში — უპირველეს ყოვლისა — მწერალთა რევოლუციური განწყობილების მობილიზაციის თვალსაზრისით. შეიქმნა ენტუზიაზმით, ოპტიმიზმით, თავდავიწყებული მუშაობის ჟინით გაჟღენთილი ატმოსფერა. საბჭოთა მწერლობა **შეგნებულად**, მტკიცე ნებისყოფით, ხალისით ცდილობს **გაუსწოროს კალამი ჩაქუჩს**, შემოქმედების შინაგანი ცეცხლის ბიზბიზი — სოციალისტური ფაბრიკა-ქარხნების, მანქანა-ტრაქტორების გუგუნს.

მაშასადამე, საბჭოთა სინამდვილისაგან საბჭოთა ლიტერატურის ჩამორჩენის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციის ერთი მთავარი პირობა უკვე გვაქვს.

ცხადია, არის მეორე პირობაც: ლენინური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების **დიდი მზრუნველობა** მხატვრულ ლიტერატურაზე, მთელ კულტურულ-იდეოლოგიურ სფეროზე. ამ უანგარო მზრუნველობაზე ლაპარაკობდა მწერალთა მთელი ყრილობა.

საბჭოთა მწერალს გადაშლილი აქვს შემოქმედების თვალუწვდენი ასპარეზი. დიდი ეპოქის სინამდვილე მდიდარია ფაქტებით, მასალებით, სახეებით, ტიპებით. გმირებით სავსეა გმირული ეპოქა. საბჭოთა ლიტერატურას შეუძლებელია ახასიათებდეს შეზღუდულობა.

მაშ, საბჭოთა ლიტერატურა მხარდამხარ უნდა გაჰყვეს სოციალიზმის დიად ეპოქას, გაუსწორდეს მას, გახდეს მისი ღირსება, თვალის ჩინი, ახალი ადამიანის სულის გამოცდილი ინჟინერი. ესაა მთავარი საკითხი, და მის გადასაწყვეტად არსებობს ყოველგვარი აუცილებელი პირობა.

საბჭოთა მწერლისაგან მოვითხოვთ არა დაპირებას, დეკლარაციას. არა, **მხატვრულ ლიტერატურაში მთავარი და გადამწყვეტია მხატვრული პრაქტიკა, ნაწარმოები, მაღალი ღირსების პროდუქტი.** საქმე — აი რა არის მთავარი. საქმე მაღალი ღირსებით, ლიტერატურული ფაქტი იდეურ-მხატვრულ მაღალ თვისებებით.

უნდა გავშალოთ გმირული ბრძოლა დიდი ეპოქის დიდი ხელოვნებისათვის! ძნელია ეს ბრძოლა. შესაძლოა ბევრმა ვერც გაუძლოს მას, დაეცეს ბრძოლის ძნელ გზაზე. მაგრამ ფოლადისებურია ჩვენი მიზანი: **უნდა შევქმნათ დიდი ეპოქის დიდი ლიტერატურა.**

და შევქმნით კიდეც.

შემოქმედებითი მხატვრული ენტუზიაზმი, განაყოფიერებული მდიდარი მხატვრული პრაქტიკით, აი გზა, რომელიც რკინის აუცილებლობით მიგვიყვანს დიდი ისტორიული ეპოქის ლიტერატურამდე.

მეტი გაბედაობით, უფრო მტკიცე ნაბიჯებით, გაძლიერებული რევოლუციური ენტუზიაზმით **წინ, მხატვრული კალმით თანამებრძოლნო!**

ქართულ საბჭოთა მწერლობას აქვს თვალსაჩინო მიღწევები. იზრდება და ვითარდება საბჭოთა მხატვრული ლიტერატურა. მენშევიკ-ნაციონალისტების „ბრძნული პროგნოზი" ქართული საბჭოთა მხატვრული „სიტყვის მგზავრის" გამოფიტვის, მხატვრული ლიტერატურის დაცემა-დაქვეითების შესახებ საპნის ბუშტივით გასკდა. პროლეტარული დიქტატურის გმირულმა სინამდვილემ შავი ჯვარი დაუსვა ჩვენი კლასობრივი მტრების ლატაკ ფილოსოფიას". მთელი ქვეყნის მშრომელი მასსა ნათლად ხედავს ლენინური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებას ფორმით ნაციონალურ, შინაარსით სოციალისტურ მხატვრულ ლიტერატურის ზრდა-განვითარების საქმეშიც.

ამის საუცხოო დემონსტრაციას წარმოადგენს აგრეთვე საქართველოს საბჭოთა მწერლების აქტიური მონაწილეობა მწერალთა საკავშირო ყრილობაზე.

ეს — უდაო ფაქტია. მაგრამ არსებული სინამდვილე ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. საქართველოს სოციალისტური მეურნეობის განვითარების მაღალი ტემპები, ძველი ცხოვრების ძირეული რეკონსტრუქციის სწრაფი განვითარება მოითხოვს ქართულ საბჭოთა მწერლებისაგან შემოქმედებითი პრაქტიკის გაცილებით **უფრო ფართოდ გაშლას**, გამდიდრებას, განვითარებას.

მიხ. ჯავახიშვილი

დიადი ყრილობა

ზოგს ეშინოდა, ზოგს კი იმედი ჰქონდა, მწერალთა ყრილობა მხოლოდ იმისათვის არის მოწვეული, რომ შტაბი დაარსონ, რომელიც მწერლობას ჯარისავით დააწყობს და ყველა მწერალს ხორისავით ერთ ხმაზე ამღერებსო.

ჩემზე და ყველაზე განუსაზღვრელი შთაბეჭდილება იმან მოახდინა, რომ ერთ დარბაზში 58 ეროვნებამ მოიყარა თავი და ეს 58 ენა ბოლოსდაბოლოს ერთ ენაზე მეტყველებდა. ამგვარი გამოფენა ჯერ არსად არ ყოფილა. ვისი სულიერი და ფიზიკური სახე არ ყოფილა იქ! ქურთი და ჩუვაში, ებრაელი და ტაჯიკი, იტალიელი და უზბეკი, ინგლისელი და ოსი, ფრანგი და ბურიატი, მონგოლი და ესპანელი—ყველას მოეტანა თავისი სული, თავის აზრი ძველი ტრადიცია და ახალი რწმენა. ამ გამოფენის შესწავლამ და ერთმანეთის გაცნობამ ყველა მწერალს მრავალი რამ შესძინა და მისი გონებრივი არე გააფართოვა.

გორკიმ სთქვა, ეს ყრილობა მარტო რუსი მწერლების ყრილობა არ არისო. სიმართლე ამ აზრისა მალე გამოაშკარავდა. მიუხედავად იმისა ერთ ალაგას სხვანაირმა აზრმაც გამოჟონა. სთქვეს, ერთი ერის ლიტერატურას მეორისაგან მხოლოდ ენა ანსხვავებსო, მან მიუგეს: ყველა მწერალი უმთავრესად თავის ფოლკლორზე და კლასიკოსებზე იზრდება (შექსპირი, გოეთე, რუსთაველი, პუშკინი) და შეუძლებელია მწერალმა სულ დაივიწყოს სალიტერატურო ტრადიცია და თანმიმდევრობის კანონი. გარდა ამისა ის ვერ მოსწყდება თავის ქვეყნის არეს, გეოგრაფიას, ყოფას, კულტურულ მემკვიდრეობას და საერთოდ იმ ადგილობრივ მასალას, რომელიც აუცილებელი ელემენტია ყოველი კარგი ნაწარმოებისა. იდეებს რომ თავი დავანებოთ სწორედ ამ ტრადიციებისა და ამ მასალის წყალობითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან აფრიკელი პოლ მორანი და ნორვეგიელი ჰამსუნი, ამერიკელი ტვენი და რუსი ტოლსტოი, ვინმე ჩინელი და ვინმე ესპანელი. მაშასადამე ენის გარდა სხვანაირი სხვაობაც ყოფილა. სტალინის ფორმულა სოციალისტური შინაარსით და ფორმით ეროვნული — გაცილებით უფრო ფართოა და ენა მხოლოდ ნაწილია ფორმისა.

ყრილობას ყოველმხრივ ზვავივით აწვებოდა პრობლემები: სტილი, ჟანრი, ენა, პროზა, პოეზია, დრამატურგია, ტემა ტიპი ფაბულა; სიუჟეტი; ცოცხალი ადამიანი, სოციალისტური რეალიზმი, პროლეტარული ჰუმანიზმი, საბავშო ლიტერატურა, კადრების აღზრდა, თარგმანი, ფოლკლორი, ურთიერთის გაცნობა და სულიერი განაყოფიერება—აი რას მოანდომა ყრილობამ ხუთმეტი დღე, ამ ყრილობის სტენოგრამა მალე გამოვა და იგი ყოველ მწერალს მუდამ თვალწინ მაგიდაზე ექნება.

ყრილობა ერთხმად მოითხოვდა, ლიტერატურის დონე უმაღლეს მწვერვალზე უნდა ავიტანოთო. ამას მკაცრად მოითხოვს მშრომელი ხალხი და საბჭოთა კულტურის ინტერესი. ეს აზრი ყრილობის დედაბოძად იქცა და ყველაზე მწვავედ იგი ბუხარინის მოხსენების ირგვლივ გამოჩნდა, ზოგს მოეჩვენა, თითქოს სალიტერატურო სნობიზმისაკენ მივყავდეთ და მასიურ ჟანრზე ხელს ვიღებდეთ. ეს მართალი არ იყო. მწვერვალზე ასვლა სავალდებულოა ყველა ჟანრისათვის, და საქართველოს დელეგაციამ ბუხარინს სწორედ ამიტომ გამოუცხადა სოლიდარობა.

თარგმანი საჭირბოროტო საქმედ გადაიქცა. ამაზე ბევრი ლაპარაკი იყო ყრილობაზე. და მ. გორკის აგარაკზედაც, სადაც ცალკე თათბირი იყო მოწყობილი, საქმეს ის ართულებს, რომ არც ერთმა რუსმა მწერალმა, უკრაინელმა ან ბელორუსმა ქართული, სომხური ან თურქული ენა არ იცის. ჩვენს ნაწერს ჩვენვე ვთარგმნით, მაგრამ რადგან აქაურმა მწერალმა ზედმიწევნით არ იცის რუსული, ამიტომ თარგმანს მხატვრული იერი ეკარგება. რადგან სხვის ენის შესწავლა ნებაყოფლობის საქმეა და ყრილობა ან მის მიერ არჩეული ორგანოები მას ვერავის დაავალებდნენ, ამიტომ იგი ჯერ გადაუჭრელი დარჩა.

განსაკუთრებული ალაგი დაიმკვიდრა ქართულმა მწერლობამ და, კერძოდ, ტოროშელიძის მოხსენებამ, რომელიც მოულოდნელი აღმოჩნდა ყრილობისათვის აღნაგობისა და გაშუქების მხრივ. გაიხსენეს მახლობელი წარსული. ჩვენი კლასიკოსების შეფასებაში ძლიერ დავიგვიანეთ. მათი შემოქმედების ნიმუშები თითქმის სულ ამოვაგდეთ სახელმძღვანელოდან. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთმა მწერალმა საჯაროთ განაცხადა, შეწყალებით ღვთისათა ქართველი ხალხი რუსთაველის სახელს მალე სულ დაივიწყებსო, (ეხლა კი რუსთაველის სურათი სხვა კლასიკოსებთან ერთად ყრილობის დარბაზს ამშვენებდა და მისი ძეგლი მალე ტფილისსაც დაამშვენებს). ისიც ყველას ეხსომება, რომ მწერალთა ერთი ჯგუფი მეორე ჯგუფს უსაყვედურებდა საქვეყნოდ, ილია ჭავჭავაძე თქვენ დიდ მწერლად მიგაჩნიათო. ტოროშელიძემ ჩვენი კლასიკოსები ახალნაირად შეაფასა და ამიტომ მისი მოხსენება ახალ თარიღად ჩაითვლება.

მკითხველს უნდა გავახსენო, რომ „იზვესტიამ" ამ მოხსენებას „საუცხოვო" უწოდა.

ამას ზედ დაერთო ქართული პოეზიის საღამო, ქართულ დრამატურგიის საღამო, წერილები, ანკეტები, გამოსვლა რადიოში, გამოსვლა ყრილობაზე ექვსი ქართველი მწერლისა, გამოსვლა რამდენიმე თარგმნილი ქართული წიგნისა. წიგნების გამოფენა და სხვ. ყველაფერი რომ თავი მოუყაროთ, მგონი გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი: **ქართულ დელეგაციას თავი არ შეურცხვენია.**

თავი არც სხვებს შეურცხვენიათ აღფრთოვანება, ხალისი და სიხარული მთელ ყრილობას ცეცხლივით მოედო. უამრავი დელეგატი ჯარის, მუშების, მეცნიერების, ხელოვნების მუშაკებისა და კოლმეურნეების ერთხმად მოითხოვდა, ახალახალი და ერთი მეორეზე უკეთესი წიგნი მოგვეციოთ. ჩვენც ღრმად ჩავინერგეთ ეს ლოდინი და იმ რწმენით წამოვედით, რომ ამ უთვალავ მკითხველს შრომით, ისევ შრომით და მხოლოდ შრომით უნდა ჩავუქროთ ეს სულიერი წყურვილი.

* * *

შ. დადიანი

რესპუბლიკის სახალხო არტისტი

დრამატურგიის შესახებ

უფრო დრამატურგიას შევეხები აქ, რადგან ჩემი ამხანაგები უთუოდ გამოსთქვამენ თავიანთ აზრს სხვა დარგებზე. მე კი ვიტყვი, რომ საერთო შთაბეჭდილება ყრილობიდან არის უხვი და მდიდარი, კერძოთ საქართველოსთვის კი ფრიად მნიშვნელოვანი რადგან

ასე ფართოდ, ასე საჯაროდ, ასე მთელი დედა-მიწის ზურგის გასაგონად ქართული ლიტერატურა ჯერ არ გამოსულა.

და აქ ჩვენ გავიმარჯვეთ.

დრამატურგიის საკითხი კი როგორც მოსალოდნელი იყო ერთ-ერთ მთავარ საკითხად იყო ყრილობაზე დაყენებული.

მას ჰქონდა დათმობილი **თავისი მოხსენება**, რადგანაც, როგორც ვიცით, დრამატურგია პოეზიაში არის ერთ-ერთი ურთულესი დარგი და, რადგანაც დღეს ჩვენს თანამედროვეობაში დრამატურგიას უდგებიან სხვადასხვა მხრით:

თუ როგორ უნდა იყოს დრამატურგიის უკვე საუკუნოებით ჩამოყალიბებული კანონები — არისტოტელიდან შექსპირამდე და შექსპირიდან ფრანგულ ბურჟუაზიულ დრამის ხერხებამდე — **მოხმარებული**, ან კიდევ რა ღონისძიებას თხოულობს დღევანდელი თეატრი.

ამ საგნის გარშემო გამოვიდნენ მოხსენებლათ ცნობილი ბელეტრისტი და დრამატურგი — **ალექსი ტოლსტოი**, დრამატურგები — **კირშონი და პოგოდინი** და კრიტიკოსი—**კირპოტინი**.

მე აქ არ ვაპირებ სრული სურათი მივცე ამ მოხსენებათა და მათ გარშემო გამართულ კამათისა, რადგანაც მომავალში მინდა ამ საგანზე უფრო ხელმოდებით ვისაუბრო, მხოლოდ აქ საჭიროა მთავარი დებულებანი მოხსენებათა მაინც გავიხსენო.

კირპოტინი ამბობდა:

„რევოლუციის წინა დროებში დრამატურგია განიცდიდა დიდს დაცემას. ძლევამოსილმა პროლეტარიატმა კი შექმნა ახალი ხელოვნება, ახალი დრამატურგია და მიაღწია უდავო გამარჯვებას ამ დარგშიაც.

„საბჭოთა ავტორებმა დრამატურგია ბევრათ მეტ სიმაღლეზე აიყვანეს, ვიდრე ეს იყო რევოლუციამდე...

„და მართალია საბჭოთა დრამატურგიას აქვს თავისი მრავალი სუსტი მხარეები — იგი კომპოზიციურად ჯერ კიდევ მოიკოჭლებს, ვერ არის დამუშავებული და გამართული დრამატურგიის ენობრივი მასალა და სხვ, მაგრამ საბჭოთა დრამატურგიას თავისი დამახასიათებელი და პრინციპიული თავისებურება გააჩნია; მისი გმირები არიან, ორგანიზატორები და მებრძოლი ხალხი. პროლეტარული რევოლუცია ადამიანს ბედ-იღბლის პატრონათ ხდის და ყოველივე ეს საბჭოთა პიესების თვით ხასიათში ჰპოულობს თავის გამომთქმელობას".

პოგოდინმა კი სხვა მხრივ მოუარა საკითხს. ის ამბობდა, რომ მეტად ძნელია თანამედროვე საბჭოთა დრამატურგმა აითვისოს ახალი მასალა, რომელიც მას სამასალოთ აქვს ამჟამად. ძველი დრამის კანონები დღევანდელ პირობებს აღარ უდგება, **საჭიროა სულ სხვა, ახალი და თავისებური** გამართვა დრამატურგიულ მასალისაო.

ალექსეი ტოლსტოი კი ლაპარაკობდა უფრო დრამის არსებულ ტეხნიკასა და ტეხნოლოგიაზე. მან ვრცლად გაამუქა ენობრივ მასალის მოხმარების საკითხი: თუ როგორ უნდა იყოს ფრაზა გამოკვეთილი, რომ ის უნდა იყოს მხატვრული, მაგრამ იმავ დროს გასაგები, ცხადი, დაზუსტებული და ბროლისებ გამჭვირვალე.

ჩვენს პიესებში კი ბუნდოვანი სიტყვიერი მასალა, ეკვილიბრისტული მობრუნება და [illegible] ფრაზისა ჯერ კიდევ ხშირია.

ენა აზროვნების იარაღია და ამ იარაღის ზერელე ხმარება ნიშნავს ზერელე აზროვნებას.

კირშონი იმ აზრისაა, რომ „ის საკითხი თუ რა უნდა დაიწეროს ეს საბოლოოთ არის ყრილობაზე გადაწყვეტილი, საქმე ის არის, თუ როგორ უნდა დაიწეროს"...

„არსებობს ისეთი აზრი, თითქო თეატრს ჩვენში შეუძლიან ყოველგვარი სიძნელეები დასძლიოს, საქმე დრამატურგიის უძლურებაშია. ეს არ არის მთლად ტყუილი: დრამატურგია ჯერ-ჯერობით სუსტია, მაგრამ თეატრიც ახალ ადამიანთა სახეთა გახსნელობაში უთუოდ ჩამორჩება. საჭიროა თეატრმა და ავტორმა ერთად იმუშაონ, რომ ეს სიძნელეები დაძლეულ იქნან".

და აი ყრილობაზე აღიძრა საკითხი თეატრისა და დრამატურგების დამოკიდებულების შესახებ, გახსენებულ იქნა ჩემ მიერაც არსებული არა ნორმალური დამოკიდებულება და ბრძოლა პირველობაზე, წამყვან როლზე, რაზედაც ცნობილმა რეჟისორმა თაიროვმა მოსკოვის ყველა თეატრების სახელით განაცხადა, რომ

„ეხლანდელ პირობებში მხოლოდ ერთი პირველობა შეიძლება იყოს დადგენილი. ეს არის პირველობა ახალ საზოგადოების შექმნის იდეისა, წარმოშობა კაცობრიობის ახალი შემეცნებისა. ამისათვის წამყვანი როლის მიკუთვნება ერთ რომელიმეზე დღეს აღარ არის გამოსადეგი. დღეს უკვე გადავდივართ შემოქმედებით შეჯიბრისა და თანამშრომლობის ფაზაში".

საერთო კამათმაც დაადასტურა ესეთი თანამშრომლობის პრინციპი და საერთოდ დრამატურგიის არსებულ ნაკლულევანებათა აღნიშვნით გამოსთქვა რწმენა, რომ ამ ყრილობის შემდეგ დრამატურგიაც **წავა წინ და მაღლა.**

ცხადია, რომ საქართველოშიაც ესე მოხდება. სხვა გზა არ არის. საბედნიეროთ ამის ნიშნები უკვე მოჩანს კიდეც. განსაკუთრებით ახალგაზრდა დრამატურგები იძლევიან ამის საიმედო ნიშნებს.

პაოლო იაშვილი

მოვიპოვოთ მსოფლიო რეპუტაცია

მწერალთა საკავშირო ყრილობამ ძალიან მაღლა ასწია მწერლობის ავტორიტეტი.

ყრილობაზე მუშაობამ განა მარტო ყურთასმენა გამოიწვია ჩვენს ხალხში დაწყებული სოფლის გლეხით, ვიდრე პოლიტბიუროს ყველა წევრებამდე?

ყრილობას გრძნობდა მთელი მშრომელი მასა და ჩვენს ზეიმში და მუშაობაში მთელი ქვეყანა მონაწილეობდა.

ჩვენს მწერლობას დაეკისრა ბევრი ახალი მოვალეობა და მათ შორის მთავარი—ახალი ძალით, ახალის გატაცებით შრომა, ჩვენი მრავალფეროვანი და სამაგალითო ცხოვრების ღრმად შესწავლა და გამსჭვალვა იმ იდეებით, რომელთაც ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალად გახადეს.

იწყება ახალი ბრძოლა უნიჭობის, დაბალი ხარისხის, შეზღუდული აზროვნების, უხეირო ფორმის, სიტყვისადმი დაუდევრად მოპყრობის წინააღმდეგ.

აღარ შეიძლება მწერლის ვიწრო ფარგალში დაკეტვა, მან უნდა მონახოს „გზა ფართო", ასწიოს მაღლა ხალხის კულტურა, გახდეს მოწინავე ადამიანად.

აღარავის სჭირდება დღენაკლული ლექსები, ავტორი მკითხველს ვერ შეაგუებს შაირს, ერთი დღის საცხოვრებელი ვადა რომ აქვს.

ჩვენი კავშირის ხალხთა მწერლობას მსოფლიო მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა საქართველოს მწერლობაც უნდა გასცილდეს თავის ეროვნულ ზღუდეებს და მოიპოვოს მსოფლიო რეპუტაცია. ამის შესაძლებლობა არის, ამის ნიშნები ყრილობაზედაც გამომჟღავნდა.

ჩვენი დელეგაციის თავმჯდომარის ამხ. მ. ტოროშელიძის მოხსენებამ, ჩვენი დელეგაციის მთლიანად მონაწილეობამ ყრილობის მუშაობაში უთუოდ აამაღლა ჩვენი კლასიკური და თანამედროვე მწერლობის მნიშვნელობა.

ჩვენში ამჟამად შექმნილია ყოველგვარი პირობები, რომ შემოქმედმა ადამიანმა ფართოდ გაშალოს თავისი ნიჭი.

დიდი ბრძოლების და გასაჭირების შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ მწერლობას ახალი გზა გაუკაფა და მისცა ვრცელი ასპარეზი მოქმედებისათვის.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა ხელოვნებისა და მწერლობისადმი და თუ დღეს, ჩვენ გვიხარია, ჩვენი ხალხის უდიდესი პოეტის შოთა რუსთაველის ახალნაირად გაცოცხლება და ის დადგენილებები, რომელიც პარტიამ რუსთაველის უკვდავების დადასტურებისათვის გამოიტანა, ნურასოდეს დავივიწყებთ, რომ ამ დადგენილებათა პირველი მერცხალი მეტეხის ციხის გაუქმება და მისი ხელოვნების მუზეუმად გადაქცევა იყო.

ჩვენი მუშაობა, ჩვენი შემოქმედება წყურვილად უნდა იქცეს, დახარბებით უნდა დავეწაფოთ ჩვენს ცხოვრებას, და გაბედულად ვთქვათ მხატვრული სიტყვა, რომელიც ხალხისათვის სიმღერად იქცევა.

* * *

სანდრო ეული

პოეზია მაღალ საფეხურზე

შეუძლებელია პატარა წერილში შეეხო ყველა იმ საკითხებს, რომლებიც იდგა ყრილობაზე.

ამ შემთხვევაში მინდა გავუზიარო ჩემი აზრი მკითხველს მხოლოდ ერთი საკითხის შესახებ, რომელსაც ვეხებოდი ყრილობაზე ჩემს მოკლე სიტყვაში. მით უფრო საჭიროდ მიმაჩნია გავამახვილო ჩვენი მკითხველების ყურადღება ამ საკითხისადმი იმიტომ, რომ ჩემმა სიტყვამ ზოგიერთებში ერთნაირი გაუგებრობა და მითქმა მოთქმა გამოიწვია...

ამხ. ბუხარინის მოხსენებას პოეზიაზე მთელი ყრილობა ოვაციით შეხვდა, და ეს იმიტომ, რომ მოხსენება იყო მრავალმხრივ საინტერესო,—ის იყო პოეზიის ფრონტზე ახალი სიტყვის ყუმბარასავით გავარდნა, რომელშიაც დაყენებული მრავალი პრობლემა და ამოცანები ფართოდ შლიდა ჩვენს წინაშე პოეტურ შემოქმედების ახალ გზებს და ბრწყინვალე პერსპექტივებს.

თავისთავად ცხადია, რომ მოხსენება ყველაზე ერთნაირ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა, ყველასათვის ერთნაირად მისაღები არ იქნებოდა, — მაშასადამე, ყველას ვერ დააკმაყოფილებდა.. და ეს იმიტომ. რომ მოხსენებაში თვითკრიტიკის მომენტებს საკმაო ადგილი ქონდა დათმობილი.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ყრილობა საზეიმო აქტი არ ყოფილა, არამედ ის ატარებდა საქმიან ხასიათს და მისი მუშაობა ახალი ამოცანების დასახვის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა.

საქმე, იმაშია, რომ მომხსენებლის სწორი დებულება, პრინციპიალურად ყველასათვის მისაღები, ჩემი აზრით, ვერ იყო ზოგიერთებისათვის გარკვეული, რაშიაც შეიძლება მომხსენებელსაც უდევს ბრალი საკითხი ეხებოდა **პოეტური შემოქმედების მაღალ საფეხურზე** აყვანას, პოეტურ ოსტატობის ახალი გზების დასახვას.

ის ეხებოდა მწერლის **მაღალი კვალიფიკაციის** საკითხს. ცხადია, **აქ სადავო** არაფერია.

და თუ მაინც კამათმა მწვავე **ხასიათი** მიიღო, ვიმეორებ, ეს იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, ზოგიერთების მხრივ პირადი მომენტებსაც ქონდა ადგილი დათმობილი. მაგალითად, ამხ. ბუხარინის მიერ ასეთი დებულება იყო წამოყენებული: „აგიტკა", როგორც ლიტერატურული ჟანრი, დღეს „მოხუცებულობას" განიცდის.

ეს გარემოება, მომხსენებლის აზრით, საშიროების წინაშე აყენებს ამ ჟანრის საუკეთესო წარმომადგენლებს ამხ. დემიან ბედნის, ალ. ბეზიმენსკის და სხვებს...

მე ვფიქრობ, ეს დებულება სწორია, თუ მას სწორად გავიგებთ..

სამწუხაროდ, ზოგიერთებმა ასე ვერ გაიგეს.

ამხ. ბუხარინს „აგიტკა" არ უარყვია. **ის** ლაპარაკობდა მხოლოდ ამ ჟანრის სოციალისტურ მშენებლობის ახალ ეტაპისადმი შეფარდების შესახებ. ამ დებულებაში ამხ. ბეზიმენსკი ნაწილობრივად ეთანხმებოდა მას. მან სთქვა:

— მეც, როგორც ბუხარინი, წინააღმდეგი ვარ გაზეთის მოწინავე წერილის უბრალო გალექსვის, წინააღმდეგი ვარ შტამპისო.

მეც სწორედ ამ აზრისა ვიყავი ყრილობაზე.

„პრავდა" აღნიშნავდა თავის მოწინავეში ერთ-ერთი დელეგატის გამოსვლის გამო, რომ ამ ყრილობის შემდეგ მწერლები სულ სხვაგვარად შექმნიან თავიანთ ნაწარმოებებს, ვიდრე ეს იყო ყრილობამდის, რადგან უსაზღვროდ გაიზარდა მწერლის მოთხოვნა თავის თავისადმი. მეც ასეთი მოთხოვნა წავუყენე საკუთარ თავს ჩემს სიტყვაში ყრილობაზე.

არასდროს ისეთი პასუხისმგებლობა არ მიგრძვნია, როგორც ამ ყრილობის შემდეგ.

გერონტი ქიქოძე

ლიტერატურის აქტუალური საკითხები

თვითკრიტიკის წესით ყრილობაზე ბევრი რამ ითქვა საბჭოთა მწერლობის ცალკეულ დეფექტებზე.

სინამდვილე დიდძალ ნედლ მასალას გვაძლევს მხატვრული განზოგადოებისათვის, მაგრამ სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არც დრამას და არც რომანს ჯერ კიდევ საბჭოთა ქალის გამოკვეთილი სახე არ მოუცია, სთქვა ყრილობის მთავარმა მომხსენებელმა მაქსიმ გორკიმ:—ლიტერატურამ ჯერ კიდევ ვერ ასახა ახალი ადამიანი; იმიტომ რომ მწერლების შთაბეჭდილებათა მარაგი და ცოდნა მცირეა. ისინი არ ცდილობენ მათ გაფართოებასო.—ჩვენი პოეზია ელემენტარულია: მნიშვნელოვანი ნაწარმოების დამახასიათებელი თვისებაა კი ასოციაციების და გრძნობების, ნათლად გამოთქმული ან ნანიშნები აზრების სიმდიდრეო, ამბობდა ბუხარინი.

კამათში მონაწილე ორატორები ხშირად გულახდილად აღიარებდენ, რომ საბჭოთა ლიტერატურას პროვინციალიზმი და ტექნიკური ჩამორჩენილობის დაღი აზის, რომ ჩვენი თანამედროვე რომანები და მოთხრობები ხშირად მეტისმეტად სქემატიურია და მანეკენებს იძლევა ცოცხალი ადამიანების მაგიერად, რომ საწარმოო ნარკვევები ხშირად უფრო ნოქრის მოხსენებას ჰგავს ვიდრე მხატვრულ ნაწარმოებს.

მწერლის ჩამორჩენილობა შეიძლება უმთავრესად იმით აიხსნებოდეს რომ ყველაფერი მეტისმეტად რადიკალურად და სწრაფად იცვლება მის გარშემო. თვით კოლონათა დარბაზი კავშირების სასახლეში, სადაც ყრილობას თავისი სხდომები ჰქონდა 17 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე, აღარ ჰგავს „კეთილშობილ საკრებულოს" დარბაზს, სადაც რუსი არისტოკრატი ქალვაჟნი პუშკინის ეპოქაში მენუეტს, ცეკვავდენ. ძველი მოსკოვის ტალახიანი ქუჩები და მოედნები, სადაც კალიმაგები და კალასკები ნებიერ მანდილოსნებს, [illegible] ბიუროკრატებს და მოქეიფე ვაჭრისშვილებს ატარებდა, ასფალტით დაფენილმა ქუჩებმა და მოედნებმა შესცვალა, რომელთაც დღეს ზემოდან ტროლეიბუსები სერავს და ხვალ ქვემოდან მეტროს ვაგონები აადიგდიგებს. რამდენიღა გადარჩენილა ორმოცჯერ ორმოცი ხახვისთავიანი რუსული ეკლესიიდან, რომლითაც ძველი მოსკოვი იწონებდა თავს? მრავალი მათგანის ადგილას „ალალლულიანი ქარხანა, ნათელ დარბაზებიანი კლუბი ან მრავალსართულიანი სახლი ამართულა, მოდერნულ სტილზე აგებული, განცარცული ყოველი დეკორატიული სამკაულისაგან. შეიძლება ეს სტილი უკეთ შეეფერებოდეს თანამედროვე რუს მოქალაქეს, რომელსაც კუნთებზე ნაკლები ქონი აქვს, ვიდრე მის მამაპაპას ექნა და რომელსაც სულში ოქტომბრის რევოლუციამ ლითონი ჩაუსხა. სად არიან მანილოვები, ობლომოვები, ოსტროვსკის ბნელი სამეფოს გმირები ჩეხოვის ზედმეტი ადამიანები?

ქუჩაში მრავალთავიანი ბრბოს მოძრაობა უცნაურად დისციპლინირებულია, ტრამვაებისა და ავტოების მიმოსვლას თეთრ ხელთათმანიანი და მუზარადიანი მილიციონერებისა და ავტომატიური ელექტრო ისრების ნიშნები აწესრიგებს ეს მილიციონერები და ეს ავტომატები საათის მექანიზმისავით ზუსტად მუშაობენ. გადით ტუშინოს ველზე ავიაციის დღეს ან მოსკოვის ქუჩებში რევოლუციური დემონსტრაციების დროს, თქვენ დაინახავთ ამორძალებს, რომელნიც პარაშუტით ვარდებიან ჰაეროპლანების ფრთებიდან და არაფრით აღარ ჰგვანან არც პუშკინის ტატიანებს, არც დოსტოევსკის ნეტოჩკა ნეზვანოვებს, არც ტოლსტოის ანა კარენინებს. მათი ტიტველი წვივები მზეს შეურუჯავს, მათი კუნთები სპორტსა და ტურიზმს გაუკაჟებია,ისინი ქუჩებში იმისთვის კი არ გამოდიან, რომ მოსკოვის მიტროპოლიტის კარეტის ბორბლებს ან ივერიის ღვთისმშობლის ხატს ემთხვიონ, არამედ იმისთვის, რომ თავიანთი მხიარულებით, თავიანთი სიმღერითა და ცეკვით რუსეთის განახლება იდღესასწაულონ, როგორც პარიზის ბრბო იულისში ბასტილიის აღებას დღესასწაულობს.

ყოველივე ძირიანად შეიცვალა საბჭოთა კავშირში. ოქტომბრის რევოლუციამ მარტო ეკონომიური და პოლიტიკური წესწყობილება როდი გარდაქმნა. ფაბრიკა-ქარხნების ნაციონალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ნიადაგზე წარმოიშვა ახალი ყოფაცხოვრება, ახალი ადამიანი, თავისებური შეგნებითა და მორალით; წარმოიშვა თავისებური ურთიერთობა სქესებს შორის, შვილებსა და მამებს შორის. ბოლოს შეიცვალა თვით ქვეყნის პეიზაჟიც. რასაკვირველია, ტრაქტორით მოხნული ველი აღარ ჰგავს ხარკამეჩით და ცხენით მოხნულ ყანას, სუბტროპიკული მცენარეების პლანტაციებით; ჩაით ლიმონით და ნარინჯით ამწვანებული ზღვის სანაპირო აღარ ჰგავს ჭაობებით დაფარულ სანაპიროს გასაკვირალი არაა, რომ ამ ყოველმხრივი სოციალური და კულტურული რევოლუციის საფუძველზე შეიცვალა საბჭოთა მოქალაქის თვითშეგნება, მისი რწმენა თავისი შემოქმედებითი ძალებისადმი:—ჩვენ მსოფლიოს მწვერვალი ვართ, კაცობრიობის ჩონჩხი;— სთქვა ერთმა მომხსენებელმა:— ჩვენ საუკუნოებს უსწორებთ თვალს ჩვენი პოეზია კი ნაწილობრივად პროვინციულია; ჩვენ გვჭირია არა მარტო წარსულისა და აწმყოს ფაქტების ცოდნა, არამედ მათი პოეტური გამოხატვა; ჩვენ გვჭირია სინთეტიური მონუმენტალური ხელოვნება, რომელიც ღირსი იქნება ჩვენი დიდი ეპოქისა. გაბატონებულმა კლასებმა წარსულში შექმნეს ასეთი ხელოვნება: ბალზაკმა მოგვცა ბურჟუაზიული საფრანგეთის მხატვრული სახე, ტოლსტოიმ მოგვცა თავადაზნაურული და გლეხური რუსეთის მხატვრული სახე. თუ საბჭოთა კავშირს დღემდე არა ჰყავს თავისი ბალზაკები და ტოლსტოები, ეს აიხსნება არა ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ეპოქის უფერულობით, არამედ თვით მხატვრული კულტურის ჩამორჩენით; ამ ჩამორჩენის მიზნები საბჭოთა კავშირის ეკონომიკისა და ტექნიკური კულტურის გარეშე უნდა ვეძებოთ.

ბევრს, ვისაც დიალექტიური მატერიალიზმი მექანისტურად ესმის, გაუგებრად მიაჩნია ასეთი ჩამორჩენა და ერთგვარი შეუსაბამობა ქვეყნის ეკონომიურ და ტექნიკურ წინსვლასა და მის მხატვრულ ასახვას შორის! მაგრამ განა ამ შეუსაბამობას მარტო საბჭოთა კავშირში ვამჩნევთ? ტექნიკური კულტურის მხრივ დიდად დაწინაურებული ქვეყანაა ამერიკის შეერთებული შტატები, მაგრამ ვერც მისი ლიტერატურა, ვერც მისი მხატვრობა და მუსიკა ვერ შეედრება ტექნიკურად უკან ჩამორჩენილი ძველი ევროპის ქვეყნების, ლიტერატურასა, მხატვრობას და მუსიკას. და სიტყვაკაზმული მწერლობა სრულიადაც პასიური ფაქტორი არ არის, რომელიც მექანიკურად იცვლებოდეს კულტურის ტექნიკურ და ეკონომიურ საძირკველთან ერთად. ყრილობაზე რამდენიმე ორატორმა გაიხსენა მარქსის ცნობილი მეთერთმეტე ტეზისი, რომელიც ენგელსის „ლუდვიგ ფეიერბახს" აქვს დართული:—ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად განმარტავდენ სამყაროს; საქმე ისაა, რომ სამყარო შეცვლილი იქნეს.

თუ ლიტერატურა „სიბრძნისაა ერთი დარგი" ანუ, მარქსისტული ტერმინოლოგიის ენით რომ ვთქვათ, ლიტერატურა იდეოლოგიის სფეროს ეკუთვნის, მას ის თვისებები უნდა ახასიათებდეს, რომელიც ახასიათებს საზოგადოთ იდეოლოგიას. საკმაო არაა, რომ მან სწორად განმარტოს, ან უკეთ ვთქვათ, სწორად ასახოს ობიექტური სამყარო, მან ამ სამყაროს შეცვლას უნდა შეუწყოს ხელი. არ კმარა, რომ იგი ობიექტური და რეალისტური იყოს, მასში სუბიექტივიზმის, ტენდენციის ელემენტები უნდა შედიოდეს, ოცნების ელემენტები, რაზედაც ლენინი სწერდა. თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის ნაკლი კი ისაა, რომ მას აკლია ემოციური შინაარსი, აკლია ფანტაზიის გაქანება, ოცნება, აკლია ახალი ქვეყნის ხილვის ნიჭი, ის რევოლუციური რომანტიზმი, ურომლისოდაც ხელოვნება უკიდურეს ნატურალიზმში ვარდება და სინთეტიური, მონუმენტალური ძეგლების მაგიერად ფოტოგრაფიულ ასლს, ან მშრალ პროტოკოლს იძლევა, დიდი რეალისტი ბალზაკი „უცნობ შედევრში" სწორად განმარტავს მხატვრის ამოცანას:—მხატვრის ამოცანა იმაში კი არაა, რომ ბუნების ასლი გადაიღოს, არამედ იმაშია, რომ იგი გამოჰხატოს. შენ უბადრუკი გადამწერალი კი არა, პოეტი ხარ. სცადე და თაბაშირის ფორმა ჩამოასხი შენი საყვარელი ქალის ხელზე, ხოლო შემდეგ ეს ფორმა წინ დაიდე; დაინახავ საშინელ ცხედარს, რომელიც მოკლებული იქნება ყოველივე მსგავსებას ცოცხალ ხელთან, და შენ მოგიხდება მოქანდაკისა და საკვეთის მოძებნა, რომელნიც ზუსტ ასლს კი არ მოგვცემენ, არამედ სიცოცხლის მოძრაობას.

როგორც ყოველ იდეოლოგიას, ისე ხელოვნებასაც თავისი კანონზომიერებაც აქვს და შეუძლებელია მისი მექანიკურად დაყვანა ეკონომიურ საფუძველზე. თუ თანამედროვე შეერთებული შტატების ხელოვნება უფრო ღარიბია ვიდრე თანამედროვე საფრანგეთისა, ინგლისისა, იტალიისა ან თვით სკანდინავიის პატარა ერების, ეს იმით აიხსნება რომ მას ამ უკანასკნელთა მსგავსად დიდი კულტურული მემკვიდრეობა არ მიუღია წინანდელი თაობებისაგან, ფორდის ქარხნები და მორგანის მილიარდები კი ვერ აიწონიან იმ სიმდიდრეს, რომელიც თანამედროვე ევროპიელი ერების ხელოვნებას. წინანდელმა თაობებმა უანდერძეს. მაგრამ ამ მემკვიდრეობას სწორი გამოყენება უნდა.

აქ სდგება მეორე დიდი საკითხი, საკითხი კლასიკოსებისადმი დამოკიდებულებისა, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო საბჭოთა მწერლობის ყრილობაზე და რომლის მართებულად გადაჭრა არც ისე ადვილია, როგორც შეიძლება პირველი შეხედვით გვეჩვენოს, იმიტომ რომ ადვილი არაა სწორი ხაზის გამონახვა კლასიკური მემკვიდრეობის ნიგილისტურ უარყოფასა და უკრიტიკო ათვისებას შორის.

კლასიკური მემკვიდრეობის ათვისების პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ სდგას თანამედროვე ქართული მწერლობის წინაშე. ჩვენმა წინაპრებმა, მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული მეოცე საუკუნემდე დიდი ლიტერატურული განძი დააგროვეს, ამ განძს შეფასება და გამოყენება სჭირია. დღეს არავინ არ უარყოფს შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, არჩილის, საბა სულხანის, ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას მხატვრული შემოქმედების დიდ ღირებულებას. მაგრამ რადგან ჩვენი ძველი მწერლობა ისტორიულად განსაზღვრული კულტურის ასახვას წარმოადგენს და განსაზღვრული კლასობრივი იდეოლოგიითაა გაჟღენთილი, თანამედროვე ქართველ თაობას, რომელიც ახალ კულტურას აშენებს უკლასო საზოგადოების პრინციპზე, უკრიტიკოდ და გაუცხრილავად არ შეუძლია მისი მიღება. ჩვენ უნდა „გადავცხრილოთ" ეს დიდი კულტურული მემკვიდრეობა, გ. ი. შევითვისოთ ის, რაც მასში ჯანსაღი და ჩვენი თანამედროვე შეგნების შესაფერია. და უკუვაგდოთ ის, რაც მასში დაძველებული და მიუღებელია.

მესამე დიდი პრობლემა, რომელიც საბჭოთა მწერლების ყრილობის წინაშე იდგა, **ბურჟუაზიული ევროპის მწერლობასთან დამოკიდებულების პრობლემაა.** აქაც ხშირად უკუღმართად ვიქცევით: ზოგიერთი ჩვენგანი სრულიად უარყოფს თანამედროვე ევროპის ბურჟუაზიული ლიტერატურის ღირებულებას ზოგიერთი კიდევ ხარბად მის დევს უკანასკნელ მოდას. დღეს ვერავინ ვერ უარყოფს იმ აუცილებელ ფაქტს, რომ ბურჟუაზიული კულტურა და მასთან ერთად სიტყვაკაზმული მწერლობა დიდს დეგრადაციის ხასიათი მიიღო. მაგრამ, როგორც **კარლ რადეკმა** მართებულად აღნიშნა, ეს დაშლის პროცესი არაა მთლიანი, ჩვენ მოწმენი ვართ დროებითი პროგრესის მოვლენებისაც, ბურჟუაზიულ ევროპაში დიდი მხატვრული ნაწარმოებნიც იქმნება. რომელთა გაცნობა და კრიტიკულად გამოყენება სასარგებლო იქნებოდა საბჭოთა მწერლობისთვის, თუმცა ეს უკანასკნელი თავისი თემატიკით, თავისი ჯანსაღი ოპტიმიზმით დაშორებულია პესიმიზმით და სკეპტიციზმით გაჟღენთილ ბურჟუაზიულ ლიტერატურას. რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიძლია რომელიმე მარსელ პრუსტის ეგოცენტრისტული მსოფლმხედველობა მივიღოთ, მაგრამ ბევრი რომ შეგვიძლია ვისწავლოთ მისი მხატვრული ოსტატობიდან. მით უმეტეს ჩვენ შეგვიძლია ბევრი რამ ვისწავლოთ იმ გამოჩენილი ამერიკელი და ევროპიელი მწერლებისაგან, რომელნიც თანაგრძნობით ეპყრობიან საბჭოთა კავშირს და ვაჟკაცურად იბრძვიან მის დასაცავად: ასეთი არიან რომენ როლანი, ანდრე ჟიდი, ბერნარ შოუ, ტეოდორ დრაიზერი, ჰაინრიხ მანი და სხვ., რომელთაც ყრილობამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა მარტინ ანდერსენ ნექსე, ანდრე მალრო, ჟან რიშარ ბლოკი და სხვ., რომელნიც თვით პირადათ დაესწრნენ ყრილობას და აქტიური მონაწილეობა მიიღეს მის მუშაობაში,

მაგრამ ამ დიდი პრობლემების, სოციალისტური რეალიზმის, ლიტერატურული მემკვიდრეობის ათვისების, ბურჟუაზიული ლიტერატურასთან დამოკიდებულების საკითხების დასმით არ ამოწურულა საბჭოთა მწერლობის ყრილობის ინტერესი. საბჭოთა ლიტერატურა სოციალისტურია შინაარსით, მაგრამ იგი ნაციონალურია ფორმით. როგორც **გორკიმ** სთქვა, საბჭოთა ლიტერატურა არაა მარტო რუსული ენის ლიტერატურა, იგი მრავალ ენიანია. საბჭოთა კავშირში შემავალი ერები განსხვავდებიან არა მარტო ენით, არამედ კულტურული დონითაც. ზოგიერთს ერს, როგორც მაგალითად ქართველობასა და სომხობას, უძველესი ლიტერატურა აქვს, რომლის ჰასაკი საუკუნეებით განიზომება; რუსის ერმა უბრწყინვალესი ლიტერატურა შექმნა მეცხრამეტე საუკუნეში; სხვებს უმდიდრესი ფოლკლორი აქვთ, მაგრამ არა თუ მწერლობა, ანბანიც კი არ ჰქონიათ ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ. ზოგიერთი ერი ოქტომბრის რევოლუციამ საფლავიდან ამოიყვანა, ზოგიერთი არტახებიდან გაანთავისუფლა და ფეხზე დგომას შეაჩვია. ვის გაუგონია გასაბჭოებამდე რაიმე უზბეკების, ტაჯიკების, ბაშკირების, ყარაკალპაკების და სხ. ლიტერატურაზე? არავის. მწერალთა ყრილობაზე კი მათ მომწიფებული პოეტები, ბელეტრისტები და დრამატურგები გამოგზავნეს.

ბევრი რამაა გასაკეთებელი ამ ნაციონალურ ლიტერატურათა ურთიერთ გასაცნობად. რუსის მკითხველი საზოგადოება დღემდე არ იცნობს ისეთს დიდს ქართველ მწერლებს, როგორიცაა შოთა რუსთაველი, საბა სულხან ორბელიანი ან გურამიშვილი, თუმცა ორი უკანასკნელი რუსეთში ცხოვრობდა და იქვე გარდაიცვალა. ჩვენ ქართველებს დღემდე არ გვაქვს დიდი რუსი რეალისტი რომანისტების და დიდი რუსი პოეტების თარგმანი. ეს შეიძლება იმითაც აიხსნება, რომ მეცხრამეტე საუკუნის რუსული ლიტერატურა, ჩვენში, ისევე როგორც სხვა განაპირა ქვეყნებში, ხშირად დიდმპყრობელური იდეებით მოდიოდა, და ჩვენი პატარა ქვეყანა ცდილობდა ზღუდით ამართვით თავი დაეცვა დენაციონალიზაციისაგან. დღეს, როცა ეს საფრთხე გაქრა, ჩვენ არაფერი გვიშლის ხელს, რომ ნაბიჯი გადავდგათ ურთიერთ დასაახლოებლად.

უკანასკნელი დიდი საკითხი რომელიც საბჭოთა მწერლობის ყრილობაზე იდგა, ზოგადი **მსოფლმხედველობის საკითხია.** ვერავინ ვერ მოსთხოვს მწერალს, რომ იგი დამთავრებული ფილოსოფოსი იყოს. მაგრამ თუ იგი თავის დროის დიდ მეცნიერულ და ფილოსოფიურ იდეებს არ იცნობს. ვერ შექმნის დიდ მხატვრულ ნაწარმოებს. ჩვენი დღევანდელი მსოფლმხედველობა უაღრესად ჰუმანისტურია, ჩვენ უარვყავით ძველი ღმერთები, რომელნიც [illegible] ერებს, და უზენაეს ღირებულებად თვით ადამიანი ვცანით. მაგრამ ეს თანამედროვე ჰუმანიზმი არაა სანტიმენტალური წვრილბურჟუაზიული ჰუმანიზმი, იგი სტოიკური და ვაჟკაცურია. იგი გულისხმობს არა მარტო სიყვარულსა და სიხარულს, არამედ სიძულვილსაც, ყოველივე იმისადმი რაც დასაგმობი და მახინჯია ადამიანში. იგი ეწინააღმდეგება უნაყოფო ინდივიდუალიზმს, რომელიც პიროვნებას სთიშავს ზოგადობრივი კოლექტივისაგან, მაგრამ სრულიადაც არ უარყოფს პიროვნების ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებას. ამ ფარული ძალების ამოძრავებასა და გაშლას, რომელიც ინდივიდშია დამარხული.

ამ რიგად ბევრი რამ მოეთხოვება თანამედროვე საბჭოთა მწერალს. მას უნდა ჰქონდეს დაკვირვებისა და ინდივიდუალური ხედვის ნიჭი, კარგად უნდა იცნობდეს რეალურ სამყაროს, მაგრამ არ უნდა აკლდეს აგრეთვე არც მგრძნობიარობა, არც ოცნების ძალა. იგი უნდა იცნობდეს როგორც თავისი ერის კლასიკურ ლიტერატურას, ისე ბურჟუაზიული ევროპის ხელოვნებას, მაგრამ კრიტიკულად იყენებდეს ერთსაც და მეორესაც, იგი უნდა იცნობდეს თავის დროის იდეოლოგიას და საერთოდ თავის დროის კულტურის სიმაღლეზე უნდა იდგეს.

მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ კმარა. მწერალი სულიერად შეგუებული უნდა იყოს ეპოქას, სოციალური დაკვეთა მისთვის ამავე დროს შემოქმედების შინაგან იძულებასაც უნდა წარმოადგენდეს. ჰეინე სადღაც ამბობს, რომ პოეტი პელიკანს ჰგავს, რომელიც ნისკარტით მკერდს იგლეჯს და საკუთარი გულის სისხლით და ნაფლეთებით თავისი ბარტყები გამოკვებავსო. ბევრია თუ არა ასეთი პელიკანი ჩვენს მწერლობაში? გაჩნდებიან [illegible]

ᲓᲘᲓᲘ ᲔᲞᲝᲥᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ

ი. გრიშაშვილი

ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲛ ᲨᲔᲒᲕᲐᲔᲠᲗᲐ

ლენინგრადში რამდენჯერმე ვყოფილვარ ჩემი მონოგრაფიის მასალებისათვის, მაგრამ მოსკოვში პირველად ვიყავი.

ზეცის ნახვა ვერ მოვასწარი, მაგრამ რაც ვნახე გამიკვირდა...

მართალია. ეს მაღალი სახლები აწვებოდა ტფილისელი პოეტის სულს; მართალია, ეს ქუჩის ტემპები მღლიდა და მქანცავდა, მაგრამ როცა ეს უზარმაზარი ქალაქი შევადარე ჩემს ტფილისს, ჩემი პოეტური განცდა თხილის ნაჭუჭში მოექცა და გამახსენდა ილიას „კითხვა-პასუხი“.

— რათა ხარ, ჩემო ტფილისო, ასე პატარა?!

მე არა ვარ ხმაურიანი ქალაქის პოეტი, მაგრამ მუდამ მაღელვებდა ვერჰარნი და მაიაკოვსკი — ეს ტრაგიკულად დაღუპული ორი დიდი ადამიანი.

მწერალთა საკავშირო ყრილობაზე მე პირველად ვნახე ამდენი პოეტი. რა მილეთის ხალხს არ მოეყარა თავი, ორმოცდათვრამეტი ერის სხვადასხვა წარმომადგენელი ერთმანეთს ეცილებოდა ახალი ქვეყნის კეთილდღეობისათვის. აქ იყვნენ უანბანონიც და მწიგნობარნიც, ტყაპუჭებიანიც და გაწკეპილნიც და ყველას ერთი ღიმილი ეკერა პირზე. რაც ღირდა მარტო დაღესტნელი სახალხო აშუღის ხილვა და მოსმენა! როცა მან თავისი მუსტაზადი სიმღერით წარმოსთქვა, მე ჩემი საიათნოვა წარმომიდგა მკვდრეთით აღმდგარი.

ჩვენ, სხვადასხვა ერის უცნობი დელეგატები, ყოველდღე „მშვიდობის დილას“ ვეუბნებოდით ერთმანეთს, ვმუსაიფობდით, თუმცა ერთმანეთის ენა არ გვესმოდა, მაგრამ როცა პოეზიის დღესასწაულზე ჩვენი საკუთარი ლექსები დავმარცვლეთ, ჩვენ მაშინვე გავუგეთ ერთმანეთს!

ჩვენ პოეზია გვაშორებდა, ჩვენ პოეზიამ შეგვაერთა!

დღეს მოსკოვის სვეტებიან დარბაზში რუსთაველის ოქროს კალმიანი თავი გამოჩნდა და ეს თემა ახალ სიტყვას მოითხოვს....

◆

ლეო ქიაჩელი

ᲓᲘᲓᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

საბჭოთა მწერლების საკავშირო ყრილობის უაღრეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობაზე არ ვილაპარაკებ. ეს ყველასათვის ნათელია და ყველას შეგნებული აქვს.

საქართველოში ყრილობამ ისე გაიხმაურა, როგორც ქართული მწერლობის ტრიუმფმა. ეს ამბავი აღსანიშნავია. — მე უკანასკნელი წევრი ვიყავი დელეგაციის, სიტყვა არ მითქვამს ყრილობაზე, მაგრამ ტფილისში დაბრუნებულს მეც კი მილოცავდნენ ნაცნობ-უცნობნი გამარჯვებას.

ყრილობის გამარჯვება მე მაინც სხვანაირად მეჩვენება. მრავალმხრივი იყო უთუოდ ეს გამარჯვება. მოკლე წერილში ყველას ვერ შევეხებით. მე მინდა მივაქციო ჩვენი საზოგადოებრივობის ყურადღება ერთს, ჩემის შეხედულებით, უდიდესად მნიშვნელოვან გარემოებას: ეს არის ის მორალური ძალა, რომელიც ყრილობაზე გამოიჩინეს განსაკუთრებით რუსმა მწერლებმა თავიანთი შემოქმედების შეფასებაში და საფუძვლად დაედვა მთელი რიგი უდიდესი ლიტერატურული პრობლემების წამოყენებას. ეს გამოიხატა უაღრესად გულახდილ თვითკრიტიკაში, რომელიც არსებითად წარმოადგენ და მოწოდებას შემოქმედების უკანასკნელი მწვერვალების დაპყრობისაკენ. გამოჩენილი რუსი მწერლები გამოდიოდნენ და საქვეყნოდ აცხადებდნენ: ჩვენ სუსტები ვართ ჯერ კიდევ. ჩვენი შემოქმედების მიღწევა ჯერ კიდევ ისე მკრთალია, რომ მისი გამოჩენის უფლებაც არ გვაქვს. ეს უთუოდ ამაღლებული ნორჩი ლიტერატურის შინაგანი ძალის შეგნების ხმა არის, ნამდვილი მწვერვალების დაპყრობის უეჭველ იმედს რომ გულში მტკიცედ ატარებს. ფუქსავატურ თავისქებას კრინტიც კი ერთხელაც არ დაუძრავს ყრილობაზე. მოვიგონებ ზოგი მწერლის სიტყვებს:

„ჩვენს წიგნებში უმთავრესად მოცემულია პორტრეტები, ფოტოგრაფიები. ისინიც მკრთალად, მოსაწყენად და ზერელედ არიან გაკეთებული. სიუჟეტის შენების ოსტატობა ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით“ (გლადკოვი).

„გადაშენების გზაზე დამდგარი ბურჟუაზიული რომანი გმირს მხოლოდ ცალმხრივად გვიჩვენებს. იქ გმირს მხოლოდ ერთი საქმე აქვს დაკისრებული — სიყვარული, ჩვენი ლიტერატურის ცოდვას სხვაგვარი დეფორმაცია წარმოადგენს: ჩვენ ვხედავთ ადამიანებს მხოლოდ ცეხებში ან კოლმეურნეობის გამგეობაში, რატომ არ შეუძლია დამკვრელს იოცნებოს? (ერენბურგი).

„ჩვენს ლიტერატურას უმეტეს შემთხვევაში ახასიათებს აღწერილობა, მე ვიტყოდი, სინამდვილის ასლის გადაღება. არ არის ის რევოლუციური ოცნება, რომელზედაც ლენინი სწერდა. სოციალისტური რეალიზმის ძირითად შესაძლებლობას ფანტაზიის უძლიერესი გაქანება წარმოადგენს. იგი გულისხმობს უფრო დიდ სინტეტიურსა და მონუმენტალურ ფორმებს, ამ თვალსაზრისით ჩვენს ლიტერატურას ასეთ სინტეტიურობასა და მონუმენტალობამდე არ მიუღწევია“ (ფადეევი).

ამასვე იმეორებდნენ სხვა მწერლებიც ზოგმა უფრო მწვავედ ილაპარაკა.

ბუხარინმა თქვა:

„უნდა პირდაპირ ვაღიაროთ: ჩვენი პოეზია ხშირად—და ეს უფრო შეეხება ჩვენთან იდეოლოგიურად დაახლოვებულ პოეტებს — ელემენტარულია. მნიშვნელოვანი პოეტური ნაწარმოების თვისება კი არის ასოციაციათა, გრძნობათა და აზრთა სიმდიდრე, რასაც ის აღძრავს“.

საიდან მოდის ასეთი მძაფრი, დაუზოგველი თვითკრიტიკა? რით არის გამოწვეული ასეთი გალაშქრება საბჭ. ლიტერატურის არსებული განძის წინააღმდეგ, იმ უდავო შემოქმედებითი მიღწევა, რაც თანამედროვე პროზას და პოეზიას უთუოდ მოეპოება? ეს გამოწვეულია იმ დიდი პერსპექტივის წამდაუწუმ გათვალისწინებით, რომლის ფორმულა ყველაზე უფრო მკაფიოდ იმავე ბუხარინმა მოგვცა.—რუსეთის საბჭ. მწერლობა თავის ნამოქმედარს დიდი, მსოფლიო ლიტერატურის საზომით უდგება. აი, ამხ. ბუხარინის ფორმულა:

„ჩვენ უნდა შევქმნათ დიდი ლიტერატურა, ლიტერატურა ვეება, ლიტერატურა ძლიერი თავისი შინაარსით, ლიტერატურა, რომელიც თავისი ოსტატობით კაცობრიობისა და ხელოვნების ისტორიაში უმაღლეს უღელტეხილად აღიმართება“.

აი, ამაში მჟღავნდება ის შინაგანი, მორალური და შემოქმედებითი ძალის შეგნება, რომელიც მე მიმაჩნია ნამდვილი და დიდი გამარჯვების საწინდრად.

ქართველმა მწერლებმაც ამ უღელტეხილისაკენ უნდა დაიჭირონ თვალი, გეზი დიდი ლიტერატურისკენ უნდა აიღონ.

ადვილად სავალი არ არის ეს გზა. მწერლის ხვედრიც მძიმეა; ვინც მწვერვალს ვერ მიაღწევს არა რა ხდება, ისტორია დაუზოგველია, როგორც ჯალათი.

პანტელეიმონ ჩხიკვაძე

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

მწერალთა საკავშირო ყრილობამ ეხლახან დაასრულა თავისი მუშაობა, ჩემზე, როგორც ყრილობის დელეგატზე, გრანდიოზული შთაბეჭდილება მოახდინა, არა მარტო თვითონ ყრილობის გრანდიოზულობამ და იქ წამოჭრილ უამრავ პრობლემათა შეჯამებამ, არამედ იმ დიდმა ინტერესმა მწერლობისადმი, რითაც მოსკოვის პროლეტარიატი შეხვდა მწერალთა ყრილობას.

დღესაც თვალწინ მიდგას ზღვა ხალხის ტალღა საკალონო დარბაზს რომ აკრავდა გარშემო და საათობით ელოდა სხდომის დასრულებას, და ყრილობის დელეგატებზე თვალის გადავლებას.



მწერალთა ყრილობა მთელი პროლეტარული მოსკოვის ყურადღების ცენტრში მოექცა. სად არ წააწყდებოდით საუბარს მისი გრანდიოზული მნიშვნელობის შესახებ. „გორკის მოხსენება“, „ბუხარინის მოხსენება“, „ერენბურგის სიტყვა, „დემიან ბედნის“ სიტყვა“... გესმოდათ ტრამვაის ვაგონში მკითხველი მასების ცხარე კამათი და ცალკეულ ორატორთა შეფასება... შექება, გაკიცხვა, აღფრთოვანებაც...

და მართლა, რა დიდი მნიშვნელობის იქნება ეს ყრილობა საბჭოთა მწერლობის განვითარების ისტორიაში სწორედ პირველ ყრილობაზე მოხდა საბჭოთა კავშირში შემავალ ერების მწერლობის გაერთიანება, გაერთიანება სოციალიზმის დროშის ქვეშ. სწორედ პირველმა საკავშირო ყრილობამ დააყენა საკითხი ლიტერ. პროდუქციის მაღალხარისხიანობის შესახებ და შემთხვევითი არ იყო ცნობილი მწერლის ბაბელის გამოსვლა ყრილობაზე, რომელმაც სხვათა შორის განაცხადა: „პარტიამ და ხელისუფლებამ ბევრი რამ მისცა მწერლობას მუშაობის პირობების შესაქმნელად, მაგრამ წაგვართვა გაცილებით მეტი: წაგვართვა ცუდათ წერის უფლებაო“.

დიახ, ცუდათ წერის უფლება მართლაც უნდა წაერთვას ყოველ მწერალს, რანაირი დამსახურებაც არ უნდა გააჩნდეს მას.

ყველაზე ცუდი საქმე, რაც მწერალს შეუძლია გააკეთოს თავის მუშაობაში, ეს არის ცუდათ სწეროს მან და მკითხველ საზოგადოებრიობას თავი მოაბეზრონ უნიჭო ნაწარმოებით.

მე ყრილობაზე წასვლის წინ ვწერდი, „ყრილობის შემდეგ ბევრი უნიჭო, მაგრამ პატიოსანი, მწერალი გააგდებს კალამს ხელიდან, ან შეეცდება დაიპყროს ის სიმაღლეები ოსტატობისა, საითკენაც მიისწრაფვის საბჭოთა მწერლობის ავანგარდი მეთქი.

ჩვენ დღეს უკვე გვესმის გულწრფელი ხმები, როგორც მოწინავე ისე შედარებით სუსტი ოსტატებისა, რომ საჭიროა დაწერილ, მაგრამ გამოუქვეყნებელ მასალების მკაცრი გაცხრილვა, გადამუშავება, გადაკეთებაო....

ასეთი კრიტიკული დამოკიდებულება საკუთარ შემოქმედებისადმი უდავო საწინდარია იმის, რომ ჩვენი მწერლობა შესძლებს მაღალხარისხოვან მონუმენტალურ ლიტერატურის შექმნას

◆

ს. ჩიქოვანი

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ

რაც დრო მიდის და უკან რჩება საბჭოთა მწერლობის საკავშირო ყრილობა, მით უფრო იზრდება ყრილობიდან მიღებული შთაბეჭდილება.

ყრილობის საშუალებით სხვადასხვა რესპუბლიკის სიტყვის ოსტატებმა კიდევ უფრო ახლო გაიცნეს ერთმანეთი და ყრილობაზე გაშლილი სხდომებიც დიდ საწარმოო თათბირს მოგვაგონებდა. ამ საწარმოო თათბირის შემდეგ იწყება უსათუოდ ე.წ. ყრილობის შემდგომი ეტაპი ჩვენს მწერლობისა.. მრავალი ახალი საკითხები წამოიჭრა ჩვენს წინაშე და მრავალი ცნობილი შემოქმედებითი ფაქტი გადაფასდა გაზრდილ მოთხოვნილების და მიხედვით, შემოქმედის დასკვნას ამძიმებს შთაბეჭდილებები მიღებული ყრილობიდან და ყოველივე ეს ჯერ კიდევ არ ჩამდგარა შემოქმედის მხატვრულ კალაპოტში.

სიტყვა-კაზმული მწერლობის დონის ამაღლებისათვის იბრძოდა მთელი კრებული სიტყვის მსახურებისა, ახლო მომავალში, ეპოქის შესაფერის მხატვრულ მასალებმა უნდა გაამართლოს ჩვენს მიერ ჩატარებული მუშაობა. დასრულდა დეკლარაციების ხანა და ამ შემოდგომის დამდეგს შემოქმედების გაზაფხულის ჰაერით უნდა გაიჟღინთოს ქართული საბჭოთა მწერლობა.

პოეტურ სიტყვის პრობლემა ყველაზე მწვავე კამათი გამოიწვია ყრილობაზე. ამხ. ბუხარინის მოხსენებამ და მის გარშემო გაშლილმა კამათმა ახალი ეტაპი შექმნა პოეტურ აზროვნებაში. ამის შემდეგ ბევრ პოეტს მოუხდება ალბად, თავისი იარაღი შეაკეთოს და მეტი სიდინჯით მოეპყრას საკუთარ პოეტურ ამოძახილს.

მე უფრო კონკრეტულ მხატვრულ ანალიზის დროს არ მომეწონა მომხსენებელი პოეზიის განმარტებაშიც ბევრი დეკლარატიული მშვენიერება სჩანდა ვიდრე საკითხის გაშუქება და პოეზიის რაობის გახსნა, მხატვრული პროდუქციის ანალიზის მიხედვით. ამიტომ მოხსენების შესავალმა და დასკვნამ ჩემზე მეტი შთაბეჭდილება დატოვა, ვიდრე მაიაკოვსკის, პასტერნაკის, სელვინსკის, დემიან ბედნის და სხვების გარჩევამ.

როდესაც პოეზიის საკითხებზე ვლაპარაკობ, არ შემიძლია არ გავიხსენო ის დიდი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა თანამედროვე ქართულმა პოეზიამ, ყრილობის წევრებზე.

მწერალთა სახლში გამართულ ქართულ პოეზიის საღამოზე ოფიციალურად გამოსთქვა თავისი აღტაცება ალ. ტოლსტოიმ. ასეთივე აღტაცებული სიტყვები გაუზიარეს ყრილობას ქართული პოეზიის შესახებ: სერგეი ტრეტიაკოვმა, კულიკმა, კორნეი ჩუკოვსკიმ და მეორე მომხსენებელმა ნ. ტიხონოვმა.

სწორედ ამასთან და კავშირებით ს. ტრეტიაკოვმა დააყენა საკითხი, რომ მწერალმა უცხო ენების გარდა უნდა იცოდეს ერთი მაინც შინა რესპუბლიკის ენა. ეს საჭიროა ჩვენი მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურული მიღწევების გასაცნობად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ქართველებმა ჩვენი მოძმე მწერლობის გასაცნობად ჯერ ძლიერ ცოტა გავაკეთეთ. სომხეთში უკვე სცემენ „ვეფხვის ტყაოსანს“, გამოსცეს რამოდენიმე ქართველი ავტორი, უკრაინაში პოეტი ბაჟანი უკეთ თარგმნის „ვეფხვის ტყაოსანს“ ყრილობის შემდეგ შეუდგენ ქართული პოეზიის ანთოლოგიის შედგენას. საჭიროა ჩვენც გამოვიღოთ ხელი და ვთარგმნოთ მოძმე რესპუბლიკების საუკეთესო პოეტები.

ს. თალაკვაძე

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ

საბჭოთა მწერლების ახლად დასრულებულ პირველი ყრილობა დიდი ისტორიული ამბავი შეიქნა არა მარტო ჩვენში, — პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში.

მან, ახალის მომლოდინე შემოქმედ ინტელიგენციას—სულის ინჟინრებს, როგორც ეს ჩვენმა დიდმა ბელადმა, ამხ. სტალინმა უწოდა მწერლებს, — გადაუშალა წარსულ საზოგადოებრიობათა მონაცემები, მიუთითა ყრილობის დელეგატებს ეპოქათა გამომხატველი დიდი მწერლების შემოქმედების მაგალითზე და დასახა ახალი ამოცანები მწერლობის დღევანდელ სარბიელზე, როგორც გამარჯვებული პროლეტარიატის ქვეყანაში, ისე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

რაში გამოიხატა ამ ამოცანების დასახვა? —სწერონ მწერლებმა ყოველგვარ ჟანრებზე, როგორზეც კი მათ ეხერხებათ; მაგრამ სწერონ სიმართლე, სოციალისტური და რევოლუციონური სიმართლე,

ყრილობის ტრიბუნიდან ისმოდა დელეგატ - მწერლების აღთქმა - დაპირებები: „ყრილობის შემდეგ მწერლები იმუშავებენ და შექმნიან თავიანთ ახალ შრომებს უკვე არა ისე, როგორც ყრილობამდე, არამედ უფრო მეტი სერიოზულობით, უფრო მეტი პასუხისმგებლობით, და სხვანაირად“. და ამ გაცემულ თამასუქის გასანაღდებლად მწერლები არ დაზოგავენ თავიანთ ნიჭს და ენერგიას.

ამ სტრიქონების ავტორმა ყრილობაზე გამოსულ მრავალ ორატორების მრავალაზროვან და მრავალფეროვან სიტყვებში ბევრი რამე ისწავლა სიტყვის ოსტატობის მხრივ, მხატვრული თემების შინაარსისა და ფორმის მხრივ და ბევრი რამე შეიცნო და გადააფასა თავისი წარსული მუშაობისა, დაინახა თავისი ნაკლოვანებანი და მისცა თავის თავს სიტყვა; შესცვალოს და გარდაქმნას თავისი შემდგომი მუშაობა მხატვრული პროდუქციის მოცემის საქმეში.

◆

მარიჯან

ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲡ ᲜᲝᲠᲩᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ

სამანდატო კომისიის სახელით ვსევოლოდ ვიშნევსკი გამოვიდა:

— პირველ საკავშირო მწერალთა ყრილობას სულ 591 დელეგატი დაესწრო, მათ შორის მხოლოდ ოცდაერთი ქალი დელეგატი

გამოგზავნილი. ეს რიცხვი ძალიან მცირეა და ჩვენთვის სათაკილო! — სთქვა ვს ვიშნევსკიმ.

მე რაღაც სიამაყე ვიგრძენ. რომ მოვყევი ამ ოცდაერთ ქალ დელეგატ შორის, და თანაც სირცხვილი — რომ ჩვენ მწერალი ქალები, ასე ჩამორჩენილად ვიყავით წარმოდგენილი ამ იშვიათ ყრილობაზე.

ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა არა მწერლების, არამედ მკითხველების გამოსვლა.

ამ ყრილობამ პირისპირ დააყენა არა მარტო მწერლები, არამედ მკითხველნიც: პიონერები, მუშები, მეზღვაურნი, წითელარმიელნი, ტრანსპორტნიკები, ყოფილი რეციდივისტებიც.. ყველანი ერთხმად მოითხოვდნენ ახალ წიგნს, ახალ შინაარსს.

ბავშვების გამოსვლა, ეს ძახილი მომავლისა, ყველაზე მკაფიოდ ჩამრჩა ხსოვნაში. ისინი მოითხოვდნენ:

„ამხანაგო მწერლებო! მოგვაწოდეთ ისეთი მხიარული წიგნი, რომ სიცილით ბალახზე ვკოტრიალებდეთო“.

მართალია, ყველგან და ყოველთვის არ არის ბალახი, მაგრამ მხიარულ წიგნის საჭიროებას. მე დიდიხანია განვიცდი. ჩემი ამოცანაა მივაწოდო ჩემს პატარა მკითხველებს ჯანსაღი, მხიარული, და შინაარსიანი წიგნი.

ბ. ჟღენტი

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ

საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის კულტურულ-პოლიტიკურ მოვლენას წარმოადგენს.

ყრილობა მიმდინარეობდა მშრომელ მასების უფართოესი ფენების შეუნელებელი ყურადღებასა და დაინტერესების პირობებში, მისი ტრიბუნიდან ლაპარაკობდნენ არა მარტო ჩვენი კავშირის და მთელი ქვეყნის მხატვრული სიტყვის მოწინავე და საუკეთესო ოსტატები, არამედ სოციალიზმის მშენებელი ეპოქის ყველა საუკეთესო ადამიანები, სოციალისტური ინდუსტრიის დამკვრელები, საკოლმეურნეო მინდვრების ენტუზიასტები, ჩვენი ძლევამოსილი არმიის, საზღვაო და საჰაერო ფლოტის გმირები საბჭოთა მეცნიერების უდიდესი ფიგურები, მოსწავლე ახალგაზრდობის და პიონერული თაობის წარმომადგენლები.

ამ მხრივ ყრილობამ ნათელი გახადა ის გარემოება, რომ ჩვენს ქვეყანაში ბრწყინვალედ ხორციელდება ლენინის ანდერძი მწერლობის—მასების საკუთრებად ქცევის შესახებ, რომ საბჭოთა ლიტერატურის საქმე მართლაც გადაიქცა ჩვენი საერთო პროლეტარული საქმის ორგანიულ ნაწილად.

ყრილობა არ განსაზღვრულა მარტო მიღწევებისა და გამარჯვებათა დემონსტრაციით. იგი მთელი სიმწვავით ამჟღავნებდა იმ გარემოებას, რომ **საბჭოთა ლიტერატურა ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება იმ ტემპებს**, რომლითაც მოცულია მთელი ჩვენი ქვეყანა და იმ ამოცანებს, რომლებსაც აყენებს მწერლობის წინაშე სოციალიზმის მშენებელი კლასი. ჩვენი უდიდესი უპირატესობანი სხვა კლასებისა და ქვეყნების ლიტერატურათა მიმართ სრულიადაც არ იძლევა თვითკმაყოფილებისა და დამშვიდების უფლებას. ყრილობაზე შეკრებილი მთელი მსოფლიოს რევოლუციურ მოწინავე მწერლობის საუკეთესო წარმომადგენელთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი უდიდესი სიღრმით და კონკრეტულობით ამუშავებდნენ ჩვენი მწერლობის მიერ ამ ჩამორჩენილობის დაძლევის საკითხებს—საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი მეთოდის საკითხებს.

ყრილობას არ მიუღია რეზოლუცია არც ერთი სადისკუსიო შემოქმედებითი საკითხის შესახებ, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ძირითადი შემოქმედებითი მეთოდის—სოციალისტური რეალიზმის—საფუძველზე ჩვენ მომავალშიც უნდა ვაწარმოოთ ფართო შემოქმედებითი დისკუსია სოციალისტური მწერლობის სტილის კონკრეტულ საკითხებზე და ჩვენი ლიტერატურული პრაქტიკა წარმართოთ მხატვრულ საშუალებათა უდიდესი მრავალფეროვანების პირობებში.

ყრილობის მონაწილე ყოველი მწერლისათვის ნათელი შეიქნა თუ რა დიდი ღირებულების შემცველია ჩვენი კავშირის ყოველი ერის ლიტერატურა და რა ბევრს კარგავს საბჭოთა ლიტერატურული მოძრაობა იმით, რომ დღემდე ჩვენ საკმაოდ არ ვიცნობდით ამ საგანძურს.

ქართულმა ლიტერატურამ, მისმა თანამედროვე მდგომარეობამ და კლასიკურმა მემკვიდრეობამ ყრილობაზე **განსაკუთრებული ყურადღება** და ინტერესი გამოიწვია. ჯერ კიდევ ქართული მწერლობის შესახებ მოხსენების მოსმენამდე და მოხსენების წინასწარ მასალების საფუძველზე შეიქმნა საერთო შთაბეჭდილება ქართული მწერლობის შესახებ. ყრილობის დარბაზში, სადაც გამოყვანილი იყო რუსული მწერლობის უდიდესი კლასიკოსთა პორტრეტები ყრილობის გახსნის მეორე დღეს ყველაზე თვალსაჩინო ადგილას გამოჩნდა **რუსთაველის** სურათი, რომლის პირდაპირ დაიკიდა უკრაინის უდიდესი პოეტის ტარას შევჩენკოს პორტრეტი. ამ პატარა ფაქტში მკაფიოდ გამოიხატა ის ყურადღება, რომელსაც იმსახურებდა ყრილობაზე ეროვნულ ლიტერატურათა საკითხი და კერძოდ ქართული მწერლობა.

აღსანიშნავია, რომ უკრაინის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ამხ. **კულიკმა** თავისი მოხსენება ქართული მწერლობის საკითხებით დაიწყო და საკმაოდ დიდი დრო მოანდომა ქართულ და უკრაინულ მწერლობის განვითარებაში ანალოგიური მომენტების აღნიშვნას და გარკვევას, არც ერთ ორატორს ყრილობაზე, რომელსაც კი მოუნდომებია თავისი ამა თუ იმ დებულების საილუსტრაციოდ ფაქტების მოყვანა სხვადასხვა ხალხთა ლიტერატურიდან, გვერდი არ აუვლია ქართულ მწერლობისათვის, აღსანიშნავია ის დიდი სამსახური, რომელიც გაუწია ქართულ მწერლობას ასეთი პოპულარიზაციის საქმეს მწერალთა საკავშირო ორგკომიტეტის ბრიგადამ, კერძოდ პოეტებმა **ბ. პასტერნაკმა, ნ. ტიხონოვმა, ვ. გოლცევმა,** და სხვ. ამ ბრიგადის მიერ ჩატარებული მუშაობის მეოხებით საკავშირო ლიტერატურულ საზოგადოებრიობისათვის უკვე გაცნობილი იყო თანამედროვე ქართული მწერლობის მრავალი თვალსაჩინო ფაქტი ჩვენი ახალი პროზისა და პოეზიის მრავალი ნიმუში. ამიტომაც ყრილობის ტრიბუნიდან რუს, უკრაინელ, სომეხ და სხვ. მწერალთა სიტყვებში ხშირად გაისმოდა გარდა ჩვენი კლასიკოსებისა ქართველი საბჭოთა მწერლების: პ. იაშვილის, კ. ლორთქიფანიძის, ს. ჩიქოვანის, ტ. ტაბიძის, ა. მაშაშვილის, პ. კაკაბაძის და სხვათა სახელები, რომელთა ნაწარმოებებს ასახელებდნენ და არჩევდნენ, როგორც საბჭოთა ლიტერატურული მოძრაობის ზრდისა და განვითარების მაჩვენებლებს.

ამხ. მ. ტოროშელიძის მოხსენება ქართული ლიტერატურის შესახებ ყრილობაზე განსაკუთრებული ყურადღებით იქნა მოსმენილი. ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ მოხსენებას ქართული მწერლობის **გაცნობის** თვალსაზრისით ფართო საკავშირო საზოგადოებრიობისათვის, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ მოხსენების ღირებულება მარტო ამით არ განისაზღვრება.

ცნობილია, რომ ბევრი ქართველი მწერლის სახე ყალბად და დამახინჯებულად იყო წარმოდგენილი ჩვენს კრიტიკაში, ამ უკანასკნელის დაბალი თეორიული დონისა და ჯგუფობრივი ხასიათის გამო. ამხ. ტოროშელიძის მოხსენება აგებულია ასეთი ტრადიციების დაძლევისა და ყოველ მწერლისათვის ობიექტურად შესაფერი ადგილის მიჩნევის თვალსაზრისზე.

ამხ. მ. ტოროშელიძის მოხსენებას ნამდვილი **გარდატეხა** შეაქვს ქართული მწერლობის კლასიკოსთა შეფასების საქმეში. ამ საკითხში უკანასკნელ წლებში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ უხეშ დამახინჯებებს.

ამხ. მ. ტოროშელიძის მოხსენება სიმახვილით არის მიმართული ვულგარიზატორთა წინააღმდეგ.

მოხსენების გარდა ყრილობაზე, დღის წესრიგის თითქმის ყველა საკითხის გარშემო, გამოდიოდნენ ქართველი დელეგატები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ყრილობის მსჯელობის საგნათ ქცეულ ურთულეს პრობლემათა დამუშავებაში და საკავშირო სამწერლო საზოგადოებრიობის წინაშე ცხადყოფდნენ ლიტერატურული აზროვნების მაღალ დონეს ქართულ საბჭოთა მწერლობაში.

დიდი ინტერესი გამოიწვია ყრილობის მიმდინარეობის დროს მწერალთა სახლში გამართულმა ქართული პოეზიის საღამომ პოეტების: **გ. ტაბიძის, პ. იაშვილის, ი. გრიშაშვილის, ს. ჩიქოვანის, ტ. ტაბიძის, კ. ლორთქიფანიძის, გ. ლეონიძის, ა. ქუთათელის, ი. აბაშიძის** და სხვ. ლექსები საღამოზე შეკრებილი მოწინავე ლიტერატურულ საზოგადოებრიობის მიერ ერთხმოვნად შეფასებული იქნა, როგორც საერთო საბჭოთა პოეზიის მნიშვნელოვანი მიღწევა. ეს აზრი გარკვევით გამოსთქვა ყრილობის ტრიბუნიდან ამხ. **ს. ტრეტიაკოვმა** და მთელმა რიგმა სხვა მწერლებმა.

ქართული მწერლობის საღამო გაიმართა აგრეთვე რადიო-სტუდიაში. ყრილობის მიმდინარეობის დროს მოსკოვის პრესაში დაიბეჭდა ქართველი მწერლების ლექსები და წერილები.

მოსკოვის საგამომცემლო ორგანიზაციებმა დასახეს უფრო ფართო გეგმები ქართული მწერლობის ნიმუშების თარგმნისა და გამოცემის საქმეში. ამ მხრივ მუშაობა იმდენად პრაქტიკულ ნიადაგზე იქნა დაყენებული, რომ უახლოეს 1—2 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის მკითხველი მასების საკითხავად გადაიქცევა ქართველი კლასიკოსების და თანამედროვე მწერლების ყველა უმთავრესი ნამუშევრები.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ, საქართველოს საბჭოთა მწერლობა სათანადოდ მომზადებული შეხვდა საკავშირო ყრილობას, რომ პარტიის და პროლეტარული საზოგადოებრივობის შეუნელებელი მზრუნველობის და ყურადღების პირობებში ქართულმა საბჭოთა მწერლობამ თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვა.

მაგრამ ყოვლად დაუშვებელი დანაშაული იქნება, თუ ეს გარემოება გადაიქცევა თვითკმაყოფილებისა და მიღწევებით დამშვიდების ტენდენციათა მიზეზად. ყოველივე ამან ოდნავადაც არ უნდა დაგვავიწყოს ის საგრძნობი ჩამორჩენილობა, რომელსაც ჩვენი მწერლობა განიცდის სოცმშენებლობის ტემპებისა და დღევანდელობის ამოცანებისაგან.

საკავშირო ყრილობის შედეგების საფუძველზე, გაზრდილი პასუხისმგებლობის გრძნობით, მხატვრული ხარისხისათვის გაძლიერებული ბრძოლით, სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკასთან კიდევ მეტად დაახლოებით ჩვენმა მწერლობამ უნდა გაშალოს თანამიმდევრული მუშაობა ჩვენი ეპოქის შესაფერი მხატვრული ტილოების შესაქმნელად.

სანდრო შანშიაშვილი

ᲩᲔᲛᲘ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ

მოსკოვში ჩავედით 13 აგვისტოს. ქუჩებში, მაღაზიებში და ელექტრონის განათებით მოგვესალმებიან: „სალამი საბჭოთა მწერლებს, სალამი პირველ საკავშირო მწერალთა ყრილობას“.

არ ვიცი, მარტო მე ვამჩნევდი, თუ ამას სხვებიც გრძნობდნენ, საითაც კი გავივლიდით, ლაპარაკობდნენ—„მწერალი - დელეგატი“. ორგკომიტეტში, სადაც ჩვენი შეკრების პუნქტი იყო, არ იყო მოსვენება —დელეგატები მოდიოდნენ ყოველ კუთხიდან, როგორც ჩვენი საკავშირო რესპუბლიკებიდან, ისე საზღვარგარეთიდან, თითქმის ყველა სახელმწიფოებიდან.

სრულიად უცნობი ხალხი, უცბად ნაცნობნი ვხდებოდით. ათასამდე დელეგატი, ზოგი გადამწყვეტი და ზოგიც სათათბირო ხმით [illegible] შეიკრიბა.

ყრილობის გახსნის დღეს არაჩვეულებრივი ზეიმი იყო.

პროფკავშირთა უშველებელი სასახლე გარედან და შიგნიდან ყვავილებშია ჩაფლული. ქუჩები გაჭედილია ხალხით. მოსულან ნახონ ის მწერლები, რომელთა ნაწარმოები წაუკითხავთ, ანდა კრიტიკულ წერილში მათი გვარი ამოუკითხავთ.

გავლა აღარ შეიძლება, მიუხედავად იმისა, რომ გაძლიერებული მილიცია წესიერებას იცავს. შემოსეულან ფოტოგრაფები, მხატვრები და კინო-აპარატით გადამღებნი. იღებენ სურათს. ზღვა ხალხს სურს ნახოს მაქსიმ გორკი, უკვე მოხუცებაში შესული, მაგრამ ენერგიით სავსე ცოცხალი კლასიკი. სურთ ნახონ პოეტები, დრამატურგები და ბელეტრისტები.

უკრაინელმა მწერალმა ნიკიტჩენკომ გახსნა პირველი სხდომა. პოეტი ტიხონოვი აცხადებს საპატიო წევრად სტალინს. აზანზარდა დარბაზი. მუსიკა უკრავს და 2 ათასამდე სტუმარი და დელეგატი მღერის ინტერნაციონალს. შემდეგ ტიხონოვი აცხადებს პრეზიდიუმის წევრებს. მაქსიმ გორკის გამოჩენამ ხელახლად გამოიწვია ოვაციები. დაიწყო მოხსენებები.

ქართველები ერთმანეთს გადავხედავდით. და თითქოს ვანიშნებდით, ხომ არ შევრცხვებით, მაგრამ გული საგულეს გვქონდა.

ერთი რამ გვაფიქრებდა. ჩვენი თავმჯდომარე მ. ტოროშელიძე გზაში ავად გახდა და მოსკოვში უფრო ცუდად შეიქნა. ამიტომ ვნერვიულობდით.... ჩვენი თავმჯდომარის მდგომარეობას.

ყრილობის დიდ დარბაზში, ტრიბუნის უკანა კედელთან ამართული იყო სტალინის დიდი სურათი და იქვე მაქსიმ გორკის, ხოლო დარბაზში სვეტებზე ეკიდა თითქმის ყველა მსოფლიო კლასიკების სურათები.

ჩვენ თავმჯდომარეს სიცხე არ ნელდება. უფრო ვნერვიულობთ. ილაპარაკა უკრაინელმა—კულიკმა. ჯერი საქართველოზეა. რა ვქნათ? ქართველი დელეგატები ჩათხრობილნი ვართ და ერთმანეთს თითქმის აღარც ველაპარაკებით, რადგან არ ვიცით, კრება რომ გაიხსნება ჩვენი თავმჯდომარე წაიკითხავდა თუ მისი მოხსენება გადაიდებოდა! გამოვცხადდით კრებაზე. დარბაზი სავსეა ხალხით. დელეგატები და სტუმრები მოელიან ქართველ მომხსენებელს. ამხ. ტოროშელიძეს 38° სიცხე აქვს, მაგრამ გამოდის ტრიბუნაზე. ლაპარაკობს გარკვევით, ლაპარაკობს თამამად.

დელეგატებისთვის და აურაცხელ სტუმრებისთვის ახალი ამბავი იზრდება. გაისმა მომხსენებლის ხმა: „ქართველი ლიტერატურა ეკუთვნის აღმოსავლეთის უძველეს დროის ლიტერატურას“. და იწყებს ამხ. ტოროშელიძე მე-4 საუკუნიდან და უფრო ადრინდელ დროიდან. იხსენებს წარმართულ ეპოქას, რომელმაც კვალი დაამჩნია შემდგომ ქრისტიანულ ეპოქების განვითარებას. გამოდის შემდეგ მე-12 საუკუნეზე და ვრცლად აცნობს შოთას და მის „ვეფხვის ტყაოსანს“.

შოთა რუსთაველი მსმენელის გონების წინ თანდათან ტიტანი ხდება და უთანასწორდება კიდეც იმ ევროპიელ მწერლებს, რომლებსაც შოთა სამი და ოთხი საუკუნით წინ უსწრებდა. პრეზიდიუმში ატყდა ჩურჩული—რატომ არ არის კლასიკოსებთა შორის შოთას სურათი? უკრაინელები, მოსკოველები და უცხოელი მწერლები გადმოგვხედავდნენ ჩვენ, ქართველებს, და გვანიშნებდნენ, „თუ შოთა ასეთი იყო, პირველობა მაშ მას ეკუთვნისო“ და ვინ იცის, ეხლა რომ ლიტერატურული სკოლები არსებობს, უმთავრესად რეალიზმის და რომანტიზმის, ევროპა რომ შოთას თავის დროზე გაეცნობოდა, დღეს მსოფლიოში ეგ იქნებოდა ამ სკოლების მამამთავარიო“.

ტოროშელიძე კითხულობს და მოდის თანდათან ზევით, ჩვენკენ. აგვიწერს ისტორიულად საქართველოს ბედს და მის ჩავარდნებსაც. აგერ გაიელვა საბა სულხან-ორბელიანმა. მას მოსდევენ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ჭონქაძე, ყაზბეგი, აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა მოდის ჩვენამდის მე-20 საუკუნის მწერლებამდე.

პირადად მე არ მოველოდი ასეთ აღფრთოვანებას. პირიქით, ვშიშობდი, ვაი თუ დავმარცხებულიყავით, მაგრამ აუდიტორიაში გრიალებს ტაში.

არ იცნობდა ჩვენ ლიტერატურას და გუშინ „სხვათაშორისად“ გვიცქერდა, ამხ. ტოროშელიძის მოხსენების შემდეგ

ქართველ დელეგატებს შეკითხვებით [illegible] გვიწყვეტდნენ. ტოროშელიძის მოხსენება დასრულდა. სამი საათის შემდეგ კვლავ გაიხსნა საღამოს კრება. კითხულობს შემდეგი მომხსენებელი. დარბაზში, პრეზიდიუმის ახლოს, იქ, სადაც პუშკინის დიდი სურათი ეკიდა, ტოროშელიძის სიტყვის შემდეგ პირველ სვეტზე უკვე ამართული იყო რუსთაველის დიდი სურათი, ხოლო მის პირდაპირ შევჩენკოსი.

ჩემთან მოვიდა უკრაინელი მწერალი და ყურში ჩამჩურჩულა: „На этот с'езд Руставели опоздал, но он все же пришел и притащил нашего Шевченко!“. შევხედე და ეს იყო უკრაინელი გამოჩენილი პოეტი და მას, როგორც მე, ჩვენი კლასიკების დანახვის გამო, სახე გაბრწყინებოდა და გული აჩუყებოდა.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რადეკის მოხსენებამ და განსაკუთრებით იგი საინტერესო იყო საბოლოო სიტყვაში, როდესაც ის კონკრეტულად შეეხო დასავლეთ ევროპის მწერლებს.

ბუხარინის სიტყვა ჰკვეთავდა როგორც ლახვარი. მან გარკვევით აღნიშნა რუსულ თანამედროვე პოეზიაში ორი პოეტი: პასტერნაკი და ტიხონოვი, ხოლო პასტერნაკს უსაყვედურა, რომ იგი სწერს ვიწრო წრისთვის და, ხშირად გაუგებრად და რომ ხანდახან შინაარსითაც მიუღებელი თანამედროვეობისათვის.

ამის შემდეგ გადმოლაგდა მძიმე არტილერია დრამატურგიის ირგვლივ. მომხსენებლებად იყვნენ: ა. ტოლსტოი, კირშონი, ვ. კირპოტინი და ნ. პოგოდინი.

ბელეტრისტიკის, პოეზიის და დრამატურგიის ირგვლივ მსჯელობის დროს მთავარ ღერძს წარმოადგენდა სოციალისტური რეალიზმი და რევოლუციონური რომანტიზმი. მათი გადმოცემის შორის წამყვანს, მხოლოდ ერთი ცხადი შეიქნა, რომ რაც არის დღეს, ის აღარ აკმაყოფილებს მშრომელ მასას და სოციალიზმისთვის მებრძოლ პროლეტარიატს, რომ უნდა შეიქმნას ახალი გმირი, ახალი განცდებით.

მე არ დამავიწყდება ერთ-ერთი სხდომა, როდესაც ყრილობას მიესალმნენ პიონერები, მშვენიერი ახალგაზრდა ბავშვები. მათმა მეთაურმა, პატარა გოგონამ ისეთი გრძნობიერი და ენტუზიაზმით სავსე სიტყვა სთქვა, რომ მეგონა, ჩემზე ბევრად განსწავლული მესაუბრებოდა. ბოლოს დაუმატა: „საბჭოთა მწერლებო, დღეს თქვენ დაგვეხმარენით და ხვალ ჩვენ დაგეხმარებითო“. ამ დროს შევხედე მაქსიმ გორკის და თეთრი ხელსახოცით სიხარულის ცრემლს იწმენდდა.

როგორ შეიძლება გადმოგცეთ ყველა შთაბეჭდილება, რაც მე განვიცადე, მაგრამ ერთი მომენტიც: ქართველ პოეტებს საზეიმო შეხვედრა გაგვიმართეს. აქ რუსი და ქართველი პოეტები შეიბნენ როგორც „შაშვი და კაკაბი“.

ტიხონოვი და პასტერნაკი ჯერჯერით კითხულობდნენ ქართულიდან ნათარგმნ ლექსებს და იმავე ლექსს ქართველი ავტორი ამბობდა ზეპირად.

ამ საღამოს თავმოყრილი იყო მოსკოვის თითქმის ყველა გამოჩენილი ხელოვანი და ნათლად სჩანდა, როგორ აღტაცებაში მოდიოდნენ. ბოლოს ა. ტოლსტოიმ განაცხადა: „გავიგეთ პ. იაშვილი ქართულად პუშკინს თარგმნის და ნიმუშები გვაცნოსო“. პ. იაშვილმა თხოვნა შეასრულა და ისეთი მოხდენილი ნიმუშები წაიკითხა, რომ რუსი მკითხველი მეტრით ხვდებოდა, პუშკინის რომელი ლექსი უნდა ყოფილიყო.

★

რა მნიშვნელობა აქვს მწერლისთვის ამ ყრილობას?

ეს ყრილობა თავის მომხსენებლებით და იქ გამოსული ორატორებით არც ერთს მწერალს არ უწუნებს სტანდარტულ დოგმას, ასე და ამნაირად სწერეო. პირიქით, თვითეულ მწერალს, თავის ნიჭის მიხედვით ფართო ასპარეზი ეძლევა ჩაწვდეს პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქას და გახდეს მისი საუკეთესო გამომხატველი და ღირსეული შვილი, რომ შერჩეს მომავალ თაობას.

თვითეულ დელეგატს და ყოველ მწერალს ღრმად ჩააფიქრებს პირველი საკავშირო ყრილობა, გადახედავს თავის „განვლილ შარას“, შეაფასებს მას და გაიმსჭვალება ახალი ამოცანებით: [illegible] ჩვენს ახალ ერას თავის გრანდიოზულობით, დღევანდელ მკითხველს გარდაქმნის, როგორც „სულის ინჟინერი“ და ნიადაგს მოუმზადებს უკლასო საზოგადოებას.

ამისთვის მას ეძლევა მძლავრი, ამოუწურავი და ფართო ასპარეზისთვის საშემოქმედო იარაღი: სოციალისტური რეალიზმი, რევოლუციონური რომანტიზმი, მოპირდაპირე იარაღი ბურჟუაზიული მწერლებისა. ამ იარაღით ჩვენ შეგვიძლია ავსახოთ თანამედროვე სინამდვილე და განვსჭვრიტოთ მომავალი პერსპექტივები, რაზედაც ოცნებობდა და დღესაც ოცნებობს კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი.

ეს ყრილობა იყო ახალი ერის, ახალი ეპოქის პირველი თარიღი. დღეის შემდეგ უფრო გამძაფრებით დავიწყებთ თვალყურის დევნას და ყურისგდებას იდეით მონათესავე აზიელი თუ ევროპიელი. ჩვენი გამარჯვება ლახვრად ჩაესობა მტრებს და აღაფრთოვანებს მოკეთეებს.

კერძოდ, დრამატურგებს დიდი ამოცანები დაესახათ.

ახალ კლასს, ახალ საზოგადოებას, რომელიც დარაზმა ლენინმა და გენიალურად უძღვება მას მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი სტალინი, სჭირდება სულ სხვანაირი ოსტატი.

ლესინგი თავის დროისთვის დიდი იყო, მაგრამ „შტურმ უნდ დრანგის“ ეპოქის მწერლებმა შესცვალეს. დღეს ჩვენც ასეთ გარემოებაში ვართ.

აღარ გვჭირდება ის ბედი და „მოირა“, რომელიც ელინებს სწამდათ და პიესა „დეუს ექს მახინეთით“ თავდებოდა. აღარც ის ინდივიდუალიზმი, რომელიც შავს მანტიაში ჰამლეტის და მანფრედის სახით გვევლინებოდა და შემდეგ პერგიუნტების ვიწრო ეგოიზმით თავდებოდა. აღარც დეკადანსი და მათი აბდაუბდა, ანდა „ლურჯი ჩიტები“. ჩვენ გვინდა ჯანსაღი, სიცოცხლეს მოწყურებული, საზოგადოების მოყვარული და ცეცხლით ანთებული გმირი, სტალინის ეპოქის შესაფერი ადამიანი. ასეთ გმირების დასახატად დრამატურგებს ხელს უწყობს რევოლუციონური რომანტიზმი. მარტო რეალიზმზე რომ შევჩერდეთ, ეს იქნებოდა პროზაში ემილ ზოლა და დრამატურგიაში ჩეხოვი. თუ გვინდა, რომ ლექსი ლექსად იქმნებოდეს და არა უბრალო ქრონიკად, მას სჭირდება გული და პათოსი, ცეცხლი და მაღალი სტილი, უფრო მეტად ეს პათოსი და მაღალი სტილი სჭირდება დრამატურგიულ ნაწარმოებს: პათოსი და მაღალი სტილი კი რევოლუციონურ რომანტიზმს მოაქვს.

დასასრულ ორიოდე სიტყვა თვით ქალაქ მოსკოვზე. მინახავს ევროპის ქალაქები. მათგან მოსკოვი სრულიად განსხვავდება. ეს უშველებელი ქალაქი თავისებური და ორიგინალურია. უზარმაზარი მოედნები და ქუჩები და უცბად დიდი კონტრასტი, თორმეტ სართულიან სახლის გვერდით დგას პაწია შენობა, მაგრამ დღეს ეს სახლები ინგრევა და შენდება ამერიკის სტილის შენობები.

◆

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲐᲥᲢᲘᲕᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲖᲔ

16 სექტემბერს ტრამვაის მუშათა კლუბში შესდგა ტფილისის ლენინის და სტალინის რაიონების და რკინისგზის ტფილისის კვანძის პარტიულ-კომკავშირული აქტივის გაერთიანებული კრება უპარტიო მშრომელებთან ერთად. კრებაზე საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობის შედეგების შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა საქ. მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. მალაქია ტოროშელიძე.

ყრილობის დელეგატმა მწერალმა მიხ. ჯავახიშვილმა ილაპარაკა ქართული მწერლობის დელეგაციის მუშაობის შესახებ საკავშირო ყრილობაზე და გაუზიარა კრებას თავისი შთაბეჭდილებანი. პოეტმა პაოლო იაშვილმა დამსწრეთ გააცნო ამხ. ბუხარინის მოხსენებისა და მის გარშემო გამართული დისკუსიის ძირითადი შინაარსი და გააშუქა საბჭოთა პოეზიის საკითხები. დასასრულ, სიტყვით გამოვიდა ამხ. ბეს. ჟღენტი, რომელმაც ილაპარაკა იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც ისახება საბჭოთა მწერლობისა და მკითხველთა მასების წინაშე ყრილობის შედეგებთან დაკავშირებით.

კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც შეფასებულია ყრილობის ნაყოფიერი მუშაობა და ის მიღწევები, რომლებითაც ქართული მწერლობა წარსდგა საკავშირო ყრილობის წინაშე.

★

16 სექტემბერს ვოროშილოვის სახ. კლუბში შესდგა ტფილისის, ორჯონიკიძის და 26 კომ. სახელობის რაიონების პარტიულ-კომკავშირული აქტივის კრება, რომელიც მიძღვნილი იყო საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობისადმი. მოხსენება ყრილობის შედეგების შესახებ გააკეთა საქ. საბჭოთა მწერლობის კავშირის მდივანმა ამხ. დ. დემეტრაძემ. სიტყვებით თავიანთი შთაბეჭდილებებისა და ყრილობაზე აღძრულ საკითხების შესახებ გამოვიდნენ ყრილობის მონაწილე მწერლები შ. დადიანი, პ. ჩხიკვაძე და ა. ქიქოძე, ილაპარაკეს აგრეთვე ამხ. ბუხნიკაშვილმა და მთელმა რიგმა მუშა მკითხველებმა და ლიტწრეების წევრებმა.

კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც შეიცავს მასიური ლიტერატურული მოძრაობის გაშლის კონკრეტულ ღონისძიებებს.

კრების მუშაობა მოკლე სიტყვით შეაჯამა ორჯონიკიძის სახ. რაიკომის მდივნის მოადგილემ ამხ. ხ. გეგენავამ.

ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

19 სექტემბერს მწერალთა სასახლეში შესდგა საქართველოს საბჭოთა მწერლობის კავშირის საბჭოს გაფართოებული პლენუმი მწერალთა აქტივთან ერთად, რომელზედაც მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ამხ. მალაქია ტოროშელიძემ გააკეთა მოხსენება საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობის შედეგების შესახებ. მომხსენებელმა გააცნო დამსწრეთ

კამათში მონაწილეობა მიიღეს: მიხ. ჯავახიშვილმა, შ. დადიანმა, ბეს. ჟღენტმა, დ. შენგელაიამ და სხვ..

პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მოწონებულია საკავშირო ყრილობაზე მივლინებული დელეგაციის მუშაობა. პლენუმმა დაავალა კავშირის პრე-

პლენუმმა მწერალთა კავშირის საბჭოს შემადგენლობაში კოოპტაციის წესით შეიყვანა მწერლები: შ. დადიანი, ვ. გაფრინდაშვილი, ე. პოლმორდვინოვი და ცნობილი სომეხი მწერალი აკოფ აკოფიანი.

პლენუმმა გააფართოვა კავშირის პრეზიდიუმის და მის შემადგენლობაში დამატებით აირჩია: აკოფ აკოფიანი, მიხ. ჯავახიშვილი, ი. გრიშაშვილი, პ. იაშვილი, დ. შენგელაია, ვ. გაფრინდაშვილი, ე. პოლმორდვინოვი, ხ. ჩამბა (აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე), კ. ლორთქიფანიძე და ს. შანშიაშვილი.

პლენუმმა გადაახალისა სარევიზიო კომისია და მის შემადგენლობაში აირჩია: დ. სულიაშვილი (თავმჯდომარე), პ. ქიქოძე, ი. [illegible] (მდივანი) ბენ. ბუაჩიძე და ნ. ბეგიჩევი (სამხ. ოსეთის მწერალთა კავშირის თავ-რე).

კავშირის მუშაობის ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის პლენუმმა ჩამოაყალიბა სამდივნო შემდეგი შემადგენლობით: დ. დემეტრაძე (პირველი მდივანი) ხ. [illegible], ბეს. ჟღენტი და ვ. გაფრინდაშვილი.

„საალიტერატურო“ გაზეთის რედაქტორად პლენუმმა დაამტკიცა ამხ. პ. ქიქოძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანდარინის კრეფის წინ

(ბათომი. საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მოსავლიანობის გამომკვევ კომისიის დასკვნით წელს აჭარისტანში მოიკრიფება 32 მილიონ ცალამდე მანდარინა, აქედან მარტო საბჭოთა მეურნეობები, ბოტანიკური ბაღი, აგროტექნიკუმი, სამეურ ხეო და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები იძლევიან 9 მილიონამდე.

გასულ წელს აჭარისტანში მოიკრიფა 100 მილიონ ცალზე მეტი მანდარინა, წლევანდელი მოსავალი — 32 მილიონი ცალი — ერთი შეხედვით თითქოს მცირეა, მაგრამ ეს ასე არ არის.

აჭარისტანში ჯერ-ჯერობით მანდარინა ყოველწლიურად არ ისხამს; ის, როგორც იტყვიან „მეწლიურეა“, უყვარს „წლის ჩაგდება“. მთელი განვლილი პერიოდის განმავლობაში, არასრულ მოსავლიან წლებში ის არასოდეს არ ძლევდა აჭარისტანში 10—12 მილიონი ცალის მეტს (მაგ. 1932 წელში); ეხლა, ასეთ არასრულ მოსავლიან წელს, ის თითქმის იმავე ფართობზე (რადგან ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში ფართოდ გაშენებული პლანტაციები მხოლოდ 2—3 წლის შემდეგ მოგვცემენ მოსავალს) იძლევა 32 მილიონ ცალს. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსავლიანობა თითქმის სამჯერ გადიდდა.

როგორ მოხდა ეს?

პასუხი ერთაა: აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებით.

შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში პირდაპირ შეუწყვეტელი იერიშია მიტანილია ციტრუსების პლანტაციებზე: თოხნის დროზე ჩასატარებლად, სასუქის შესატანად, საწრეტი არხების გასაყვანად, ყოველი ნარგავის თვალის ჩინივით მოსავლელად.

ყოველივე ამან თავისი ნაყოფი გამოიღო.

მაგრამ განა ეს საკმარისია? რასაკვირველია, არა. გაკეთდა ბევრი, მაგრამ გასაკეთებელიც ბევრია. **აჭარისტანი ყოველწლიურად უნდა იძლეოდეს ციტრუსების სარეკორდო მოსავალს.** ამ დავალების შესრულებისათვის აჭარისტანის პარტიული ორგანიზაცია ბოლშევიკურად იბრძვის. ეს ბრძოლა კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს; ყოველი ხე სანიმუშოდ უნდა იქნას მოვლილი.

რა ამოცანა დგას ამჟამად აჭარისტანის წინაშე მოსავლის აღების დარგში? მთავარია ყოველმხრივ მომზადებული დაიწყოს მანდარინის მოსავლის აღება და ორგანიზებულად ჩატარდეს ამისათვის საჭირო ყველა სამუშაოები. გასული წლის მაგალითები მთლიანად უნდა იქნას გამოყენებული იმისათვის, რომ არავითარ შემთხვევაში არ განმეორდეს შეცდომები, მთელი მოსავალი ავიღოთ **ყოველგვარი დანაკარგის გარეშე!**

დ. დუმბაძე.

* * *

სამეურნეო მუშაკთა საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 22 სექტემბერი. სამეურნეო მუშაკთა საკავშირო თათბირის 21 სექტემბრის საღამოს სხდომაზე კამათში გამოვიდნენ შემდეგი ამხანაგები: აშრაფ-ალიევი (აზნავთი), ამხ. კაპელიუშნიკოვი (აზნავთი), ამხ. რიაბოლოვი (გროზნავთი), ამხ დერიჟეი („გლავცვეტმეტ“), ამხ. რომანოვი (მანქანათმშენებლობის კავშირის ც. კომიტეტი), ამხ. სატელი (სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა), ამხ. ველერი (კოლომენსკის ქარხანა), ამხ. გლინი (შავი მეტალურგიის მუშათა კავშირის ც. კ-ის თავმჯდომარე).

შემდეგ სათბობი მრეწველობის შესახებ დიდი სიტყვით გამოვიდა ამხ. რუხიმოვიჩი. 22 სექტემბრის საღამოს სხდომას თავმჯდომარეობს ამხ. რუხიმოვიჩი. პირველად სიტყვით გამოდის ამხ. ოტსი („წითელი პუტილოველის“ ქარხნის დირექტორი), ამხ. კურიცინი (ლუგანსკის ორთქლმავალმშენებელი ქარხნის დირექტორი), ამხ. ალპეროვიჩი („გლავსტანკოინსტრუმენტი“), ამხ. ბერეზინი (კოლომნის ქარხანა). შემდეგ დიდი სიტყვა წარმოთქვა მძიმე მრეწველობის სახკომისრის მოადგილემ ამხ. მ. მ. კაგანოვიჩმა, რომელმაც თავისი სიტყვა მიუძღვნა ორგანიზაციულ საკითხებს. სიტყვებს ამბობენ ამხ. შტეინი (წითელი პროფინტერნის სახ. ქარხანა), ამხ. ოსტროვსკი („ვოვატი“), ამხ. ფიგატნერი (მძიმემრეწველობის სახ. კომისარიატი), ამხ. შლეიფერი, ამხ ტრახტერი (ტრესტი „რუდა“), ამხ. გურევიჩი.

დიდი სიტყვით გამოვიდა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. შვერნიკი, რომელსაც ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ. შემდეგ გამოვიდა საკ. ა. ლ. კ. კ.-ის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კოსარევი. ამხ. კოსარევის შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. სტარიკოვიჩს (ლენინის სახ. ნევის ქარხანა). დილის სხდომა მთავრდება ამხ. შახ-მურადოვის („გლავცვეტმეტი“) გამოსვლით.

მქუხარე ტაშით შეხვდა თათბირი მძიმე მრეწველობის სახ. კომისრის მოადგილე ამხ. პიატაკოვს, რომელიც გამოვიდა დიდი შინაარსიანი სიტყვით, რის შემდეგ დამთავრდა კამათი. სულ თათბირზე კამათში მონაწილეობა მიიღო 77 კაცმა.

თათბირი ისმენს მეტალურგიული, ქიმიური და მანქანათმშენებლობის სექციების ცნობას, რომლებმაც განიხილეს დებულების პროექტი საამქროებისა და ქარხნების სამმართველოების ორგანიზაციებს შესახებ. დებულების პროექტები შემოტანილ შესწორებებით ერთხმად იქნა მიღებული.

ამხ. ორჯონიკიძე სიტყვას აძლევს კუზნეცკის სტალინის სახ. მეტალურგიული კომბინატის დირექტორს ამხ. ბუტენკოს მძიმე მრეწველობის ყველა მუშაკისადმი მიმართვის გამოსაქვეყნებლად. ხალხით გაჭედილი დარბაზი გულდასმით ისმენს ამ მიმართვის პროექტს და არა ერთხელ აწყვეტინებენ ტაშით ამხ. ბუტენკოს. მიმართვა თათბირმა მიიღო ერთხმად.

შემდეგ ამხ. სტალინისადმი მისალმების გამოსაქვეყნებლად სიტყვა ეძლევა გორბუნოვის სახ. ქარხნის დირექტორს ამხ. მიტკევიჩს. ამხ. მიტკევიჩის უკანასკნელ სიტყვებს, რომელმაც წაიკითხა მისალმება, ფარავს აღფრთოვანებული ტაში. ყრილობის მონაწილენი ფეხზე დგებიან და მღერიან „ინტერნაციონალს“. ამხ. ორჯონიკიძე ამბობს:

ნება მომეცით დავხურო ჩვენი თათბირი. იმედი მაქვს, რომ თქვენ გამათავისუფლებთ მე საბოლოო სიტყვისაგან. აქ კარგი სიტყვები საკმაოდ ითქვა. ბევრი დაპირება იქნა მოცემული. ამჟამად საქმეა არა სიტყვებში, არამედ საქმეში. ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ დაბრუნდებიან რა თავიანთ საწარმოებში, ჩვენი დირექტორები, ინჟინრები, ტექნიკოსები, პარტორგანიზატორები, პროფკავშირების მუშაკები, თავიანთ დაპირებას განახორციელებენ და ჩვენ შესაძლებლობას მოგვცემენ დეკემბრის ბოლოსათვის განვუცხადოთ ჩვენს ქვეყანას, რომ მეორე ხუთწლედის მეორე წლის პროგრამა შესრულებულია, რომ მძიმე მრეწველობა და მისი ექვსმილიონიანი არმია მზადაა შეტევისათვის 1935 წელს.

გაუმარჯოს ლენინის დიდ კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს ბელადს და მასწავლებელს — ამხ. სტალინს!

კვლავ გამაყრუებელი ტაში, გაისმის ძლიერი „ვაშა“, ადგილებიდან მოისმის წამოძახილები:

გაუმარჯოს ჩვენს ბელადს დიდ სტალინს!

გაუმარჯოს მძიმე მრეწველობის არმიის კომანდირს — სერგო ორჯონიკიძეს!

★

სამეურნეო მუშაკთა საკავშირო თათბირზე შესავალი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ს. ორჯონიკიძემ, ამხ. ორჯონიკიძის სიტყვა დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის 26 სექტემბრის ნომერში.

კარგი საქმის დასაწყისი

დიდხანს ლაპარაკობდენ სისუფთავის შესახებ მახარაძის (ყოფ. ოზურგეთი) აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხ ფაბრიკებში. იყო ცალკეული ცდები სისუფთავის დაცვისათვის. მაგრამ აქედან ბევრი არაფერი გამოდიოდა, რადგან სისუფთავის მნიშვნელობა საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში არ იყო სათანადოთ შეფასებული.

ფაბრიკების ეზოს დათვალიერების დროს თქვენ ნახავდით ნაცრის, ნაგვის, ძველმანებისა და სიბინძურის გროვას. ფაბრიკების ეზოს საგრძნობი ნაწილი, სადაც იყრებოდა ნახარშავი პარკი, გარდაქცეული იყო ღორების სადგომად. ღორები და ძროხები აბინძურებდენ ფაბრიკის მთელ ტერიტორიას.

ფაბრიკის ხელმძღვანელობას დიდი მუშაობის ჩატარება მოუხდა, რომ მთელი კოლექტივი დარწმუნებულიყო სისუფთავის დაცვის აუცილებლობაში, მის უდიდეს მნიშვნელობაში.

პირველი შედეგები უკვე მიღწეულია და ის საგრძნობიცაა. ფაბრიკის ტერიტორია, საამქროები, სასადილო, საცხოვრებელი სახლების მოედნები სავსებით შეიცვალა.

მუშაობის პირველი ეტაპი იყო ფაბრიკის ტერიტორიის შემოღობვა 450 საჟენის სიგრძეზე. ეს სამუშაო 1-ლ აპრილს დამთავრდა. მოისპო ღორების და ძროხების თარეში ეზოში. ამის შემდეგ აღებული იქნა მტკიცე კურსი ფაბრიკის კულტურულად მოწყობისათვის. ფაბრიკის კოლექტივის შეგნებაში განმტკიცდა პასუხისმგებლობის გრძნობა სისუფთავისათვის.

შემოღებული იქნა ნაცრის (შავი ქვის ნამწვავის) ყოველდღიურად გადაზიდვა, ზოგიერთ ადგილას მისი (ნაცრის) გამოყენება გზების მოსახრეშავად. გაიწმინდა ფაბრიკა ძველმვულების, ნაგავისა და სხვა და სხვა ნარჩენებისაგან. ამასთან ერთად აღებული იქნა ძველი და გამოუსადეგარი საწყობები და საპირფარეშოები. გადატანილი იქნა ზოგიერთი შენობები (პურის საცხობი, წისქვილი და სხ.) შესაფერ ადგილზე. გასავლელ გზებზე მოიყარა ხრეში, გასწორდა საცხოვრებელი სახლების მოედნები, ამოივსო ორმოები.

ფაბრიკის ეზოს ნაწილი, რომელიც ღორების საბანაოს წარმოადგენდა, ახლა ყვავილებითა და წიწვიანი მცენარეებითაა გამშვენიერებული.

შემოღებულია ეზოს ყოველდღიურად დასუფთავება და მორწყვა. საამქროებში დამყარებულია აბსოლუტური სისუფთავე.

გამშვენიერდა ბაღი, რომელშიდაც დაიდგა სკამები, გაკეთდა შადრევნები, დაირგო ახალი ძვირფასი მცენარეები.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მუშათა კლუბის მოწყობას, მის მხატვრულად გაფორმებას.

გაფართოვდა სასადილო. შეძენილი იქნა 120 ახალი მაგიდა თავის საფარით, შეძენილია ახალი სელის სკამები, მაგიდები მორთულია ყვავილებით, სასადილოში უკრავს პატეფონი. გახსნილია ბუფეტი, მოწყობილია დამკვრელთა ცალკე სასადილო.

და ეს გაკეთდა რაღაც 10 თვის განმავლობაში. მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაა მუშათა საცხოვრებელ ბინებში. აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ სახლების, განსაკუთრებით ახლად აგებულ სახლების წინ, იყოს სრული სისუფთავე, ხოლო ოთახებში კულტურა და მყუდროება. ამ მხრივ ჯერჯერობით ფაბრიკის კოლექტივი დიდათ ვერ დაიკვეხნის. აქ საჭიროა ყვავილების დარგვა, სისტემატიურად თვალყურის დევნება, რომ საერთო დერეფანი, კიბეები არ დანაგვიანდეს, საჭიროა ხშირად დათვალიერება ოთახების, საბავშვო ბაგის, საბავშვო ბაღის, სკოლის.

ფაბრიკის ხელმძღვანელობამ უნდა გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რომ მუშები თავიანთ ბინებში ისევე კულტურულად გრძნობდენ თავს, როგორც ფაბრიკებში.

ს. მასხულია.

სურათზე: ოზურგეთის აბრეშუმის ძაფსაღებ ფაბრიკის ახლად გამწვანებული ეზო.

მეცნიერება და ტექნიკა

„მძიმე წყლები“ ბაიკალის ღრმა ფენებში

ლენინგრადი. ლენინგრადში დაბრუნდა მეტეოროლოგიისა და სტანდარტიზაციის ინსტიტუტის ექსპედიცია, რომელმაც გამოიკვლია „მძიმე წყლების“ არსებობა ბაიკალის ღრმა ფენებში. ექსპედიციის ხელმძღვანელმა ი. დ. მენდელეევმა—ცნობილი ქიმიკოსის შვილმა—რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს განუცხადა შემდეგი:

„ზოგიერთ მეცნიერს საეჭვოდ მიაჩნდა ბუნებრივი „მძიმე წყლის“ არსებობა ბაიკალის სიღრმეში. მაგრამ მისი არსებობა მე გამოვარკვიე უკვე იმ ფენებში, რომლებსაც ჩვენ მივაღწიეთ გასულ წელს (1.200 მეტრი). ამ შემთხვევაში კი ექსპედიციამ შეძლო ამოეღო წყლის სინჯი 1.650 მეტრის სიღრმიდან, ოზხოს კუნძულზე, უხანის კონცხიდან ხუთი კილომეტრის დაშორებით. საშუალედო სიღრმეებზედაც ამოღებულ იქნა საკონტროლო სინჯი. დისტილირებულ წყლის შემჭიდროება ახლა უდაოდაა დადასტურებული. ეს შემჭიდროება მატულობს სიღრმის გადიდებასთან ერთად. 1,500 მეტრამე სიმკვრივე აღწევს მეექვსე ათწილადი ნიშნის თითქმის ექვს ერთეულის.

პროფ. მენდელეევი აღნიშნავს, რომ [illegible] ამოღებულ „მძიმე წყალს“ [illegible] ელექტროლიზის „მძიმე წყლისაგან“ [illegible] რომ მასში [illegible] მძიმე მეავბადის ატომები. ამ [illegible] დაწვრილებით გამოკვლევა [illegible] მენდელეევი ჩაატარებს დაბალი ტემპერატურების ლაბორატორიაში მეტროლოგიის ინსტიტუტთან. პროფ. მენდელეევმა ლენინგრადში ჩამოიტანა დაახლოებით ათი ლიტრი „მძიმე წყალი“, რომელიც მან ამოიღო ბაიკალის ტბიდან (ადს).

ტფილისის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი აშენებს სამსართულიან შენობას, რომელშიაც მოთავსებული იქნება კლუბი, ფიზკულტურის დარბაზი და აუდიტორიები.

სურათზე: სატყეო ინსტიტუტის ახლად აგებული შენობა.

ამხ. ბუბნოვი ტფილისში

23 სექტემბერს წყალტუბოდან ტფილისში ჩამოვიდა რ.ს.ფ.ს. რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარი ამხ. ბუბნოვი.

იმავე დღეს ამხ. ბუბნოვი ესტუმრა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ადს).

გაფუშვეს ექნებათ

საკუთარი ფიზკულტურის სტადიონი

ფიზკულტურულმა მოძრაობამ ფართო მასობრივი ხასიათი მიიღო. მარტო საქართველოში დღეს 46.415 ფიზკულტურელი ითვლება, მაგრამ ამ რაოდენობას ვერ აკმაყოფილებს სათანადოთ მოწყობილი მოედნები და პრაქტიკული სავარჯიშო ადგილები. მით უმეტეს ეს ითქმის ბავშთა ფიზკულტურულ ორგანიზაციებზე.

ამის გამო გადაწყვეტილია, „დინამოს“ ახალი სტადიონის აგების შემდეგ, ძველი „დინამოს“ სტადიონი გადაეცეს ტფილისის ბავშთა ფიზკულტურულ ორგანიზაციებს. სტადიონის გადაცემა მოხდება ნოემბერში. დინამოს ძველი სტადიონის ფიზკულტურის საბავშო სტადიონად გადაკეთების გამო, მოხდება მისი მთლიანი გადაკეთება, მოეწყობა აგრეთვე ახალი სავარჯიშო ადგილები.

საბავშო სტადიონი დააკმაყოფილებს ტფილისის მთელ სასკოლო ფიზკულტურულ ორგანიზაციებს.

ჭადრაკი

რესპუბლიკების მაესტროთა შეჯიბრება

მესამე ტური



ამხ. გოგლიძე და კასპარიანი

მესამე ტურის ყველა პარტიებში ადგილი ქონდა მწვავე და სასტიკ შებრძოლებას. არცერთი მხარე არ გაურბის მდგომარეობის გართულებას და გაბედულად თამაშობს მოგებაზე.

მაყურებელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა მოჭადრაკის ვერესოვის და განს კმოხის პარტია. ვერესოვმა შავებით ლაზიერის პაიკთა დებიუტში ლასკერის გაგრძელება აირჩია და საკმაოდ მტკიცე პოზიცია მიიღო. კმოხი თამაშის გეგმას მოწინააღმდეგის მეფეზე პირდაპირი იერიშის მიტანაზე აგებს, რასაც ვერესოვი უპირდაპირებს თამაშს ლაზიერის ფრთაზე. კმოხი არ აქცევს ამას ყურადღებას, არ იცავს მუქარის ქვეშ მოქცეულ პაიკს, სწირავს მას, თვითონ კი მეფის ფრთის პაიკების მიწევით ემზადება გადამწყვეტი იერიშისათვის. მაგრამ ეს ვერესოვის ზუსტი თამაშის შედეგად უმართებული გამოდგა. ვერესოვი დროულად გადადის თვითონ კონტრ-იერიშზე მეფის ფრთაზე და აშკარავებს მოწინააღმდეგის ბანაკში შექმნილ სისუსტეს, თითქოს ვერ გადაურჩება კმოხი წაგებას. მაგრამ აქ მას ეხმარება ცეიტნოტი. გართულებულ მდგომარეობაში ვერესოვი, ღრმად დარწმუნებული მოგებაში, მიდის ხარისხის შეწირვაზე და, ალბათ, მოიგებდა კიდეც, რომ სწორედ მე-45 საკონტროლო სვლაზე არ გაეკეთებინა უხეში შეცდომა და არ წაეგო ფიგურა. პარტია გადაიდო კმოხისათვის მოგებულ მდგომარეობაში. მიუხედავად ასეთი დაბოლოებისა, უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა ვერესოვი ამ პარტიაში ოსტატის ძალოვნებით თამაშობდა.

გოგლიძემ თეთრებით, ჰოლანდიური დაცვის წინააღმდეგ სელეზნიოვთან, ბევრად თავისუფალი მდგომარეობა მიიღო, რაც პარტიის ბოლომდის შეინარჩუნა; მაგრამ ეს არ გამოდგა საკმარისი პარტიის მოგებისათვის; სელეზნევი საუკეთესოდ იცავს თავს და პარტია ყაიმით თავდება.

მწვავედ და საინტერესოდ ვითარდებოდა ბრძოლა მ. მაკაგონოვსა და სოროკინის პარტიაში. ახალ ინდოურ დაცვაში მაკაგონოვი შეეცადა გამოეყენებინა ლაზიერის ფრთაზე შექმნილი სისუსტე მოწინააღმდეგის ბანაკში. სოროკინი თავის მხრივ ანვითარებს იერიშს მოწინააღმდეგის მეფეზე. იქმნება მეტად რთული და გამოურკვეველი მდგომარეობა. აქ მაკაგონოვი გაყვება სოროკინის მიერ მოცემულ წინადადებას: გაცვალოს ორი ეტლი ლაზიერში და ერთ პაიკში, რაც არ იყო მართებული. პარტია გადაიდო სოროკინისათვის უპირატეს მდგომარეობაში.

კარგად ჩაატარა მთელი პარტია **სილიჩმა კირილოვის** წინააღმდეგ და პარტია გადასდო მოსაგებ მდგომარეობაში.

ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ **ებრალიძე კასპარიანის** პარტია გადაიდო დაახლოებით თანასწორ მდგომარეობაში.

რაუზერმა შავებით **რაგოზინის** წინააღმდეგ დებიუტშივე მიიღო თავისუფალი მდგომარეობა, რაც მოწინააღმდეგის შემდგომი დახმარებით უფრო გააძლიერა. ერთხანს რაგოზინი კარგად იცავს თავს და თითქოს აღწევს მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ შემდეგში ვერ თამაშობს ზუსტად და აგებს ხარისხს. პარტია გადაიდო.

კონსტანტინოპოლსკი - ვ. მაკაგონოვის პარტია გადაიდო გამოურკვეველ მდგომარეობაში.

*

მეორე ტურის პარტიებში **კირილოვმა** მოუგო **კასპარიანს.**

გოგლიძე - სილიჩის პარტიაში ანალიზის შემდეგ გამოირკვა, რომ დარჩენილი უპირატესობა გოგლიძესი არ იყო საკმარისი პარტიის მოსაგებად და მოწინააღმდეგენი პარტიის გაუთამაშებლივ შეთანხმდენ ყაიმზე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ დამსწრე საზოგადოება საკმაო თავდაჭერილობას ვერ იჩენს შეჯიბრებაზე. ხშირი ხმაურობა, თუ თუნის გამუდმებული მოწევა ქმნის ნერვიულ ატმოსფეროს, რაც უეჭველია ,ახდენს გავლენას პარტიის ნორმალურ მსვლელობაზე. შეჯიბრების მომწყობმა კომიტეტმა უნდა მიაქციოს ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება.

*

დღეს, 24 ოქტომბერს, საქპროფსაბჭოს შენობის დიდ დარბაზში, საღამოს სრულ 5-ნახევარ საათიდან გათამაშდება შეჯიბრების მორიგი მეოთხე ტური. ითამაშებენ: **სოროკინი - განს კმოხი, სელეზნიოვი - რაუზერი, გოგლიძე - კირილოვი, სილიჩი - ებრალიძე, კონსტანტინოპოლსკი - მ. მაკაგონოვი, ვერესოვი - რაგოზინი და კასპარიანი - ვ. მაკაგონოვი.**

25 სექტემბერს იქვე მოხდება გადადებულ პარტიების დამთავრება.

ა. ფ.-ლი

მწერლების შეხვედრა

მოსწავლე ახალგაზრდობასთან

25 სექტემბერს, საღ. 8 ს. **მე-8 სრული საშუალო სკოლის და კომუნალ. აღმშენებლობის ტექნიკუმის** დირექცია სკოლის სააქტო დარბაზში (ჩიტაძის ქ. № 13. ყოფ. ერმოლოვის) აწყობს უფროსი კლასების მოწაფეთა შეხვედრას მწერალთა 1-ელ საკავშირო ყრილობის ქართულ დელეგაციასთან.

შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები: **მ. ჯავახიშვილი, ლ. ქიაჩელი, შ. დადიანი, პ. ჩიქვაძე, ს. ეული, დ. დემეტრაძე, პ. იაშვილი, ს. ჩიქოვანი, ტ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, დ. შენგელაია, ს. თალაკვაძე, მარიჯანი.**

ყრილობის შედეგებზე მოხსენებას გააკეთებს **ამხ. ბეს. ჟღენტი.**

გასწორება

„კომუნისტი“-ს გუშინდელ პირველ მეთაურის სათაურში დაშვებულია კორექტურული შეცდომა. წერია: „კომუნისტები **ტრაქტორზე** სანიმუშოდ უნდა მუშაობდენ“ უნდა იყოს: „კომუნისტები **ტრანსპორტზე** სანიმუშოდ უნდა მუშაობდენ“.

კორექტურისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის მორიგე უფროსი კორექტორი ს. ხვიჩია მოხსნილია სამუშაოდან. მორიგე გამომშვებს **ა. გაბესკირიას** გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

პარტკალენდარი

სტალინის რაიონის პარტგანათლების სახლი აუწყებს რაიონის ყველა პროპაგანდისტს, რომ 25 სექტემბერს საღამოს 7 საათზე, პარტგანათლების სახლში შესდგება სტალინის რაიონის პროპაგანდისტთა სემინარი ყველა ტიპის სკოლის პირველი თემის საკითხებზე.

პოლიო აბრამია

რამი

მისი სამშობლო ჩინეთია. ოდაბურსა და ჯაგნარიან ველმინდვრებზე ბიბინებდა ის. ოხსოვარ დროიდან იზრდება იქ უპატრონოდ, ველურად.

პირუტყვი, მხეცები და ადამიანები ჯიჯგნიდენ მას, ფეხქვეშ თელავდენ. არავინ აქცევდა ყურადღებას. რადგან უხეირო იყო.

ერთხელ, შემთხვევით მოსჭრეს მასი წუნწი. შეფოთლილი კონებით დაიტვირთენ და შინისაკენ გაუდგენ გზას. მერე სიმღერით მოუსხდენ. კაბი გაალღვეს ფრჩხილებით და მზეზე გაფინეს. როცა გახმა საბჭოდ დარჩენ — მის გახმარ ლაფანში აბრეშუმის ძაფები შეიმჩნიეს.

ახალი ძვირფასი მცენარის აღმოჩენის ამბავი სწრაფად გავრცელდა. მისი სანერგეები გაიტანეს მეზობელ ქვეყნებში. ქვეყნებიდან საპატიო ადგილი დაუთმეს მას. აღმოსავლეთის ქვეყნებში სხვადასხვა სახელით არის ის ცნობილი.

ჩინეთში მას უწოდეს „ჩუ-მა“ — „ცუ-მა“. იაპონიაში — „კარამუში“, „მაო“. ბრიტანეთის ინდოეთში — „რეა“.—„კანკურა“ ნიდერლანდიაში — „რამე“.—„რამიე“ ეს სახელი მათ შეარქვეს მალაელებმა. დღემდე მას იცნობენ ორგვარი სახელწოდებით ზოგან—რამს ეძახიან, ზოგან კიდევ „ჩინურ ბალახს“.

რამი ორგვარია—თეთრი და მწვანე თეთრს უფრო ეტანებიან, რადგან ის საუკეთესო ხარისხისაა.

★

ჭირვეული მცენარეა რამი. ის ვერ ითმენს სარეველა ბალახებს. ვერ ეგუება ყინვას, სუსხსა და ქარს. ყოველთვის დაცული უნდა იყოს, ფრთხილად მოვლილი, სათუთია მისი ღერო, მისი ყლორტები, მისი ფოთლები. მისი ფესვები ყოველთვის ნოყიერსა და ფხვიერ მიწაში უნდა იყოს ჩაწვდარი. მას უყვარს მზე, ცვარი, მშრალი ნიადაგი, გაშლილი არე, თბილი ჰავა.

ამიტომ გახდა ის ყველა ტროპიკულ ქვეყნის სტუმარი.

ევროპიელებმა გვიან გაიგეს რამის ამბავი. ის აბრეშუმთან ერთად შეიტანეს დასავლეთში 1890 წელს. კუნძულ ჰოლანდიიდან ინგლისში—1810 წ. მიიღეს რამის გადაუმუშავებელი ლაფანის სამი შეკვრა.

ფრანგებმა რამის სამრეწველო და საცდელ პლანტაციებით მოჰფინეს ამერიკის, აფრიკისა და სამხრეთ აზიის საფრანგეთის კოლონიები, ისინი ლამობდენ ამ მცენარისაგან მიეღოთ საქსოვ ნედლეულის უდიდესი მარაგი ფაბრიკებისათვის, გამოეშვათ ძვირფასი ქსოვილები და ამ მხრივ დაემყარებიათ მსოფლიო რეკორდი.

ძნელი აღმოჩნდა ეს საქმე, რადგან რამი იმ ხანებში ყოველმხრივად შეუსწავლელი იყო. განსაკუთრებით ძნელი აღმოჩნდა რამის ლაფანისაგან დიდი რაოდენობით საქსოვი ძაფის მიღება. ჩინელებმა ამას კუსტარული წესით მიაღწიეს. ისინი ხელით რეცხენ მას, ათეთრებდენ და შემდეგ ღებულობდენ სართავ ძაფს.

რამის ლაფანის კარგად გარეცხვაზე, მის გათეთრებაზეა დამოკიდებული ქსოვილის უმაღლესი ხარისხი.

ფრანგებმა აქ მოიშველიეს მეცნიერება და ტექნიკა. ნახევარი საუკუნის განმავლობაში აწარმოებდენ ისინი ცდებს. ფრანგებმა ძეხნად დაისახეს რამის დამუშავების ყველა პროცესების მექანიზაცია ისინ იქამდი საც კი მივიდნენ, რომ დასარგავი მანქანებიც კი გამოიგონეს...

ჩინურ ბალახის ლაფანში ნამდვილი „ჩინური კედელი“ აღმოჩნდა. ეს არის ლაფანზე გადაკრული **მწვანე კანი** ის თხელია, მაგრამ მისი მოშორება უძნელესი საქმეა. ვერ გამოიგონეს ისეთი ხსნარი, რომლის საშუალებით მანქანა მოაშორებდა ლაფანს ამ სიფრიფანა კანს.

ლაფანის ამ „ჩინურ კედელს“ დღესაც მისჯღომია ქიმიკოსთა ლაშქარი. აქ პოქილაა გაჩაღებული.

★

საქართველოში რამი შემოვიდა გასულ საუკუნეში. პირველად ის ქუთაისის ჯერმაში მოაშენა აკადემიკოს **ნიკო მარის** მამამ —ცნობილმა მებაღემ, **იაკობ მარიმ.** ეს იყო 1869 წ. იმავე წლებში რამის რამდენიმე ბუჩქი ამშვენებდა ქუთაისის ბაღის კიდეს.

900-ან წლებში ერთ-ერთმა ფრანგულმა კომპანიამ ხელშეკრულება დადო პრინცესა მიურატს **ზუგდიდში** და აქაც მოაშენეს რამის პლანტაცია 300 ჰექტარზე

ყველაფერი ეს უდღეური აღმოჩნდა, რამმა ფეხი ვერ მოიკიდა, რამის ბუჩქები გადაშენდა. მათ ადგილას სიმინდი დათესეს, ან კიდევ სარეველა ბალახმა ამოხეთქა.

ასე გაგრძელდა საბჭოთა ძალა-უფლების განმტკიცებამდე.

საკავშირო მთავრობამ მობილიზაცია გაუკეთა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის დარგში მომუშავე სამეცნიერო ძალებს. რამის მოსაშენებლად სპეციალისტების აზრით ცნობილი იქნა კავშირის მასშტაბით ერთადერთი სუბტროპიკული ზონა —შავი ზღვის სანაპიროები, გაგრიდან ბათომამდე, განსაკუთრებით—კოლხიდა.

დაიწყო პრაქტიკული მუშაობა. რამის მოშენებას. მისთვის ჰავაგის შერჩევა-შემზადებას ახლა ხელმძღვანელობდენ არა ფრანგი კონცესიონერები და კერძო, შემთხვევითი, პირები, არამედ ახალ ლაფანიან მცენარეთა საკავშირო საგამოკვლევო ინსტიტუტი ჩაუდგა მას სათავეში.

საბჭოთა სამეცნიერო მუშაკები დაიძრნენ კოლხიდისაკენ, რამი ისევ გაჩნდა კოლხიდაში. გაჩნდა **სწორედ** იმ ადგილას, სადაც სიმინდიც არასოდეს დათესილა. სადაც საუკუნეთა განმავლობაში იდგა მხოლოდ დაჭაობებული ჭაობი.

ეს იყო კოლხიდმშენის მიერ აღმოჩენილი მიწა— ნაჭაობარ ქვალონში. ამ რაიონში რამის გაჩენას მასიური აღფრთოვანება არ გამოუწვევია. არ სჯეროდათ. თუ რამე იხეირებდა აქ, არ სჯეროდა არა მარტო გლეხობას, რომელსაც არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა ამ კულტურულ მცენარეზე არამედ ზოგიერთ ადგილობრივ პასუხისმგებელ ამხანაგებსაც. კი. მაშინ ეს ნერგები რამის მეურნეობას „ჯოლოკუსის *) მეურნეობას ეძახდენ. ეს იყო ხუთიოდე წლის წინათ.

— რა გამოირკვა მას შემდეგ? რა ჰქნა რამმა? რა დაამტკიცეს საბჭოთა სპეციალისტებმა?

ყველა ამ საკითხებზე პასუხი მზად აქვს რამის ახალ-სენაკის მექ. ბაზის დირექტორს **ამხ. ვალოდია ბერაიას.** ამ კაცს, ყოველთვის დინჯს. მოფიქრებულსა და აუჩქარებელს. ყველა ამ საკითხებზე დასაბუთებული პასუხი მოეპოვება. მართალია მას არავითარი სპეციალური განათლება არ მიუღია ამ მხრივ, ის არც ბუნებისმეტყველია, არც ქიმიკოსი, არც აგრონომი. მაგრამ მესამე წელია თავზე დასტრიალებს კოლხიდის რამის პლანტაციებს, ამ ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობს ის ამ უდიდეს საქმეს და საკმაო გამოცდილება მიიღო. მან ზეპირად იცის არა მარტო ისტორია ამ მცენარის, მის ბიოლოგიის საიდუმლოებათა უჯრედებშიაც შეჭრილა.

— აი, რა დაამტკიცეს საბჭოთა სპეციალისტებმა და კოლხიდის ნაჭაობარმა მიწამ! —მომიგო მან და ზორბა ვაჟკაცის სიმაღლე რამის ღეროების კონა გამომიწოდა.

ეს ღეროები საბჭოთა მამულიდან წამოუღია მას და ყველა ურწმუნოთათვის ფაქტიურ საბუთად აქვს მიყუდებული თავის საწერ მაგიდასთან. ამხ. ვალოდია არც ამას დასჯერდა, მაგიდის უჯრა გამოაღო და მთელი შეკვრა აბრეშუმის ძაფი დაილაგა წინ.

— მეგრულ სართავ ჯაჭს არა ჰგავს?— ღიმილით მომიბრუნდა ის,—ეს გახლავთ ამ მცენარის ლაფანისაგან მიღებული ძაფი. აქვე, სენაკის რამის სადეგუმაციო ფაბრიკაში ვაწარმოებ ამის გადამუშავებას. ამის მიღება ყველაზე თავსამტვრევი საკითხი იყო. აქ არ გვყოლია წინაპრები, ძველი გამოცდილება არ არსებობდა, რადგან რამის დიდი რაოდენობით გადამუშავება საიდუმლოებით იყო მოცული. ჩვენ ამასაც მოვუღეთ ბოლო. აი, რას უნდა მივაღწიოთ ჩვენ მახლობელ წლებში.

ახლა ამხ. ვალოდიამ მაგიდაზე დამილაგა ნაჭრები. აქ არის: სუფთა რამი, აბრეშუმნარევი, ბამბანარევი, ტილო, დიაგონალი, კოვერკოტი. შევიოტი და თხელბუსუსა ქსოვილები.

— მახლობელ წლებში ამათი საქსოვი ფაბრიკაც გვექნება სენაკში. მუშაობა უკვე დავიწყეთ ადგილი გამოყოფილია ტეხურის პირად. ეს არის მომავალი ფაბრიკის პროექტი,—თითი გაიშვირა კალკაზე გადაღებულ გეგმისაკენ, რომელიც იქვე ეკიდა კედელზე.

თითქოს დაუჯერებელია ყველაფერი ეს, მაგრამ ფაქტს ვერსად გაექცევი.

★

მთელი კვირის განმავლობაში ვიმგზავრეთ მე და ამხ ვალოდიამ რამის მეურნეობებში. მთელი კვირის განმავლობაში ვეცნობოდი კოლხიდის რაიონებში გაშენებულ პლანტაციებს.

ვნახე რამის მეურნეობა ახალი სოფლის გადაღმა. სენაკის სამხრეთით რიონის სანაპიროებზე—ნაჭაობარ ნაოჩუში. ცივაჭუჩუ რჩე. ქვალონში. ორპირის ჭალოსნინეში ცივარდნილ ტყვირში, მახათაში, ონტოფოში, სეფიეთში, კოტიანეთში ხონში, დარჩელსა და ოტობაიაში:

გავეცანი რამის სანერგეების შეუდარებლად მიღწეულ ფართობს სამიქაოში, სადაც ასეული მილიონი ძირი მზად არის გადასარგავად. ვნახე ყველა ამ მეურნეობებში ჩინებულად მოწყობილი მუშა-მოსამსახურეთა საერთო საცხოვრებელი სახლები, კოოპერატივები და სამკითხველოები, განიერი ფარდულები, სადაც დალაგებულია დეგუმატორები, ამ ფარდულებთან მინდვრებიდან მოზიდული რამის კონები. კოლმეურნე ქალები აწვდიან რამის შეფოთლილ ღეროებს დეგუმატორების ფოლადის ლაყუჩებს. ტრიალებს მანქანა და თვალის დახამხამებაში ქალებს ხელში უჭირავთ ნეშოგამოცლილი ნედლი ლაფანი, რომელიც იქვე შრება მზეზე და შემდეგ ბარდება სენაკის მექ. ბაზას გადასამუშავებლად.

დეგუმაციურ პროცესის ჩატარების შემდეგ უხვად გროვდება რამის ნარჩენი. ეს არის დამტვრეული ღეროები, ფოთლები და ჩვილი ყლორტები. ყველგან მეურნეობაში ფარდულების წინ ან ნარჩენების მთებია დაზორვილი. ამასაც იყენებენ ჩვენი სპეციალისტები. ხუთი ექვსი თვის განმავლობაში ორმოებში ინახავენ მას. ლპობის პროცესის დასრულების შემდეგ ამით ანოყიერებენ რამის პლანტაციის ფართობებს.

ეს ჩვენში შემოიღეს პირველად, შემდეგ ბიც ჩინებული მოჰყვა მას. რამმა რაც ნოყიერება წაართვა მიწას, ისევ უკანვე უბრუნებს ნიადაგს.

ესეც ჩვენი სპეციალისტების მიღწევაა.

კოლხიდაში არის უძეოდ გადაშენებული დადიანისეული დოხორე. წინად ოდიშის მეკონარა, უსაქმური და ქურდბაცაც თავად აზნაურები ცხენებს დააჯირითებდენ აქ.ღრეობდენ და სასახლის მეორე სართულის აივნიდან მაღალ ცაცხვის კენწეროზე აფრიალებულ ცხეირსახოცს ესროდენ დამბაჩებს. ისინი უგზოუკვლოდ გადაიკარგნენ, პროლეტარული რევოლუციის ხიაღვარმა წალეკა მათი გზა და კვალი.

ახლა აქ რამის უდიდესი საცდელი სადგურია მოწყობილი. აქ მოსულან საბჭოთა სპეციალისტები; ბუნებისმეტყველები, ქიმიკოსები და აგრონომები. მესამე წელია მუშაობენ ისინი. იკვლევენ კოლხიდაში ნიადაგს, ჰავას, რამის სხვადასხვა ჯიშებს ამრავლებენ ისინი დადიანისეულ ეზოს ვრცელ ფართობზე რკინის გზის ლიანდაგიდან მხეფის მწვანით შეფენილ მთის კალთებამდე. ამ სპეციალისტებს მიღებული გამოცდილებები გადააქვთ კოლხიდის რამის მეურნეობებში.,

საქართველოს რამის ტრესტის დირექტორ ამხ.ვ. ლვამიჩავას და მისი მოადგილის ამხ. ბულიგინთან ერთად დავესწარი ამ სპეციალისტთა თათბირს. ახალგაზრდა სპეციალისტებმა აქ გადმოშალეს სამი წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილებანი, ჩატარებული მუშაობის პრაქტიკული შედეგები. ნათლად წარმოგვიდგინეს რამის უდიდესი პერსპექტივა კოლხიდაში.

რა ხატაცებით, რა ხალისით, რა დამაჯერებლად მსჯელობდენ ისინი! მათ ყოველ სიტყვაში მოსჩანდა რწმენა იმისა, რომ კოლხიდაში რამმა გაიმარჯვა, რომ ჩვენმა სპეციალისტებმა შეანგრიეს რამის ლაფანში აღმოჩენილი „ჩინური კედელი“.

კოლხიდის რამის პლანტაციები უფრო გაიხარებენ ამ სპეციალისტთა მზრუნველობის ქვეშ. უახლოეს წლებში უკან ჩამოდგებიან რამის მოსავლით სახელგანთქმული ჩინეთის პროვინციები: კვანტუნ, შენსი, ხონან, შეჩუან და კიანსი. ისინი პირველ ადგილს დაუთმობენ: კოტიანეთს, მახათს, ონტოფოს, ორპირს, ნაოჩუს, ნოსირს, ქვალონს, ხონს, გაგრას დარჩელსა და ოტობაიას.

და თუ ჩინეთი, იაპონია, საფრანგეთი, ინგლისი და გერმანია ამაყობენ რამის ქსოვილების ფაბრიკებით, მაგრამ ნედლეულის მარაგი კი არ გააჩნიათ, რადგან ლაფანისაგან თეთრი სართავი ძაფის მიღების საიდუმლოებას ჯერ კიდევ ვერ მიაკვლიეს, ჩვენ ამ მხრივ გამარჯვებულები გამოვდივართ, სენაკის სადეგუმაციო ფაბრიკაში თავმოყრილმა სპეციალისტებმა გამოიმუშავეს ხსნარი, რომელმაც სიფრიფანა მწვანე კანი უკვე გადაასალა რამის ლაფანს.

სენაკშივე აშენდება უდიდესი ხაბ. ფაბრიკა, რომლის შესანიშნავი ქსოვილები დაამშვენებს ჩვენს სახელმწიფოს სავაჭრო ვიტრინებს.

ეს იქნება უახლოეს წლებში. ნათლად მაქვს წარმოდგენილი ის დღეს, როცა რიონის ახალ ნავთსადგურიდან, რომელსაც ახლა აშენებენ ფოთელი ბოლშევიკები, შავი ზღვისაკენ გაცურავს რამის ძვირფასი ქსოვილებით დატვირთული საბჭოთა სავაჭრო ხომალდები.

ამაში აგრეთვე მაჯერებს კოტიანეთელი კოლმეურნე გლეხის „ბიჭი“, რომელიც მუშაობის დროს დეგუმატორის ფოლადის ლაყუჩების რიტმიულ ხმაურში უმღეროდა თავის მიჯნურს:

რამის ფარჩას შეგიკერავ, გატარებ,
ჩემო ნაზო, ნარნარო და ჭკვიანო,...

სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ — 1) დამხმარე (საწრეტი) არხი ქვალონის სახ მეურნეობაში; 2) რამის გადარგვა; 3) რამის სანერგე სამიქაოში

---

*) სარეველა ბალახს ჰქვია მეგრულად

ოქტომბერი
7, 9, 11

დამკვრელი საზაფხ
7-30. 9-30. 11

დამკვრელი საზამ
7-30. 10 11-15

იმპი საზაფხ.
7-30 11

მერი საზაფხ
8. 9-30 11

26-ის სახელ
8-30. 10 15

ლიუქსემბურგის სახელობის
6-30, 8-30, 10-30

კომინტერნი საზაფ
8 30 10-15

ახალი მხატვრული ფილმი
„ოუდი 3 რიერა

უკანასკნელი დღე
მშვიდობიანი სათავგადასავლო ფილმი მე-2 სერია
ვერცხლის მარფი
25/ X-დან გაიშვება მე-3 სერია.

ახალი მხატვრული ფილმი
„პირველი სიყვ რული“

ახალგაზრდული სურათი
„ალიმ“

ახალი ხმოვანი ფილმი
პოროჩიკი კიჟე

მხატვრული ფილმი
ტრიპ ლ ტრაღედია

იკითხეთ და გაავრცელეთ გაზეთი „კოლექტივიზაცია“

ტფილისის განათლების განყოფილება აცხადებს, რომ 25 სექტემბერს საღ. სრულ. 7 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) შესდგება ტფილისის სკოლების დირექტორების, მათი მოადგილეების, კომკავშირის კომიტეტის მდივნების, ორ-ორი დამკვრელი მასწავლებლების, დამხმარე საბჭოების თავმჯდომარეების, პარტორგების და ადგილკომების თავმჯდომარეთა

საქალაქო შეკრება

დღის წესრიგი: 1. 1934-35 სასწ. წლის მზადების შედეგები და მიმდინარე წლის საბრძოლო ამოცანები. (მომხსენ. ამხ ქაცარავა).
2. დაჯილდოება.
ზემოდ ნაჩვენებ პირთა დაუჯვინებლივ დასწრება დირექტორების პირად პასუხისმგებლობით სავალდებულოა.
ტფილისის განათლების განყოფილება.

ტორგსინი ტორგსინი
კლიენტების საყურადღებოდ
ცხადდება, რომ, ძველი სასაქონლო წიგნაკების გამოცვლა—ახალ წიგნაკებზე იწარმოებს ა/წლის
30 სექტემბრამდე
ჩათვლით, რის შემდეგ ძველი წიგნაკები გაუქმებულია და არავითარი პრეტენზიები მის გამოსაცვლელად მიღებული არ იქნება.
ტორგსინის საქართველოს კანტორა.
ნ. 464

ბაღი „არტო“—24 სექტემბერს
ქართული პოეზიის საღამო
მონაწილეობენ: პოეტები ირ. აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, პაოლო იაშვილი, ა. მაშაშვილი, გალ. ტაბიძე (სახ. პოეტი), ტიც. ტაბიძე, გ. ჭუნიშვილი, ს. ჩიქოვანი, ბ. ჟღენტი. არტისტები: დამ. არტ. ვერიკო ანჯაფარიძე, სახ. არტ. აკ ვასაძე, სახ. არტ. ალ. იმედაშვილი, სახ. არტ ა. ხორავა, ვასო გოძიაშვილი. დასაწყისი 9 ს. ბილეთები იყიდება საქგფილეთში.

ქალ. ტფილისის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი დ. ა. სვანიძე ამით აცხადებს, რომ ის ა. წ. 26 სე ტემბერს ნაშუადღევის 12 საათზე
საჯარო ვაჭრობით
გაყიდის ქ. ტფილისში ჭონქაძის ქ. № 10 სახლში მოთავსებულ ვასილ თაბუაშვილის შემდეგ საოჯახო ნივთებს: 1. პიანინო, 2. ჭურჭლის შკაფს, 3. ფეხით საკერავ მანქანას და სხვას შეფასებულს 2.520 მანეთად ქალ. ტფილისის ლომბარდის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქალ. ტფილისის სახალხო სასამართლოს ა/წ, 22 აპრილის თარიღით და 1.978 №-ით გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. საჯარო ვაჭრობის დროს დაცული იქნება სამოქ. საპ. კოდ. სათანადო მუხლები.
სასამართლოს აღმასრულებელი: დ. სვანიძე.
233

მისამართები: რედაქციის. რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის, რუსთაველის პროსპ. № 34. ტელეფონები: რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—62—08, პასუხისმგებელი მდივნის 3—06,88, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების 3—73—40, სტამბის 3—27—04.

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68 მთავლიტის რწმუნებული ა 685